



სოციალურ მაცნეორებათა სერია

# პოლიტიკური ინსტიტუტები: ანალიზი

მოგზაურებულია სოციალურ მაცნეორებათა ცენტრის  
აკადემიური სტიანების საფუძველზე

ინტენსიური სემინარი  
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

გია ქორქოლიანი

თბილისი  
2006

სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: **მარინე ჩიტაშვილი**

ენობრივი რედაქტორი: **ლია კაჭარავა**

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. № 10

ელ. ფოსტა: **contact@ucss.ge**

ინტერნეტ გვერდი: **www.ucss.ge**



წიგნი მომზადებულია და გამოცემულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ლია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით



The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

**ISBN: 99940 - 872 - 8 - 2**

# ს ა რ ჩ ი 3 0

სემინარის აღწერა.....	4
<b>I კვირა</b>	
რა არის ინსტიტუტები და როგორ მუშაობენ ისინი .....	6
შესავალი .....	6
მეთოდოლოგიური შენიშვნები: ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები.....	7
<b>II კვირა</b>	
პოლიტიკური ინსტიტუტები საზოგადოებისა და პოლიტიკის გადაკვეთაზე: პოლიტიკური პარტიები .....	11
შესავალი .....	11
პარტია: ფუნქცია, სტრუქტურა და ორგანიზაცია .....	12
რაციონალიზაცია .....	13
პარტია როგორც მთელი .....	14
პარტია-სახელმწიფოს სისტემა (party-state system) .....	15
პარტია შიგნიდან; ფრაქციები, დაჯგუფებები და ტენდენციები .....	15
პარტიის პრობლემა “ახალ დემოკრატებში” .....	17
<b>III კვირა</b>	
საჭირო სახელმწიფო სისტემის მიზანი: სახელმწიფო, მისი ინსტიტუციონალიზაცია და თარმომასადგენლობა .....	20
სახელმწიფო .....	20
კონსტიტუციური სახელმწიფო და ინსტიტუტები .....	21
მმართველობის სისტემის კონსტიტუციური ინსტიტუტები .....	23
ნარმომადგენლობა .....	24
<b>IV კვირა</b>	
პოლიტიკური ინსტიტუტები გარდამავალ საზოგადოებები: ინსტიტუტთა ცვლილებები .....	28
შესავალი .....	28
როგორ იცვლებიან ინსტიტუტები .....	28
პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია და ინსტიტუციონალური გამოწვევა .....	30
ბიბლიოგრაფია .....	33
<b>Bibliography</b> .....	33
<b>POLITICAL INSTITUTIONS ANALYZE</b> .....	36

## სემინარის აღწერა

კომუნიზმის დაცემამ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც დემოკრატიაზე გადასვლამ სამხრეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში, ახალი ბიძგი მისცა დებატებს პოლიტიკური ინსტიტუტებისა და მათი როლის შესახებ როგორც სახელმწიფოებრივ მშენებლობაში და ეფექტური ეკონომიკური შედეგების მიღწევის საქმეში, ასევე მოქალაქეთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფასა და “კარგი”, ეფექტური მმართველობის ჩამოყალიბებაში.

სემინარი არსებითად ფოკუსირებულია პოლიტიკურ ინსტიტუტებზე.

სემინარის პირველი კვირა ეძღვნება იმის ანალიზსა და შესწავლას, თუ რას წარმო-ადგენენ ინსტიტუტები ზოგადად, როგორ იქმნებიან და ფუნქციონირებენ ისინი, რა განსხვავებაა ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის, რა ზეგავლენას ახდენენ ინსტიტუტები ეკონომიკური და პოლიტიკური აქტივობის შედეგებზე.

სემინარის მეორე ნაწილი (2-3 კვირები) ეძღვნება უშუალოდ პოლიტიკური ინსტი-ტუტების ანალიზს. ამ ნაწილის მთავარი მიზანია, წარმოაჩინოს თუ როგორ შეიძლება ინსტიტუტების ზოგადი თეორია გამოყენებულ იქნეს კონკრეტული და ძირითადი პოლიტიკური ინსტიტუტების ანალიზისათვის.

შესაბამისი მიდგომის საფუძველზე განხილულია: პოლიტიკური ინსტიტუტების ლე-გიტიმაციის საკითხი; პოლიტიკური ინსტიტუტები საზოგადოებისა და პოლიტიკის მიჯნაზე: პოლიტიკური პარტიები; წარმომადგენლობის პრინციპი; სახელმწიფო და მისი ინსტიტუციონალიზაცია; სახელმწიფო და კონსტიტუციური მმართველობა.

სემინარის ბოლო კვირა ეძღვნება ინსტიტუციური ცვლილებების ანალიზს ფუნდა-მენტური საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პერიოდში და განსაკუთრებით ფოკუსირე-ბულია პოსტკომუნისტურ რეალობაზე.

სპეციალური ანალიზის საგანი იქნება პოსტსაბჭოთა საქართველოს ინსტიტუციო-ნალური განვითარება – ინსტიტუტთა ლეგიტიმურობა, ეფექტურობა; წარმოამდგენლო-ბითობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის პრობლემა ინსტიტუციონალურ მშენებ-ლობაში.

## სემინარის მიზანი

სემინარის მიზანია სტუდენტებმა მიიღონ თეორიული ცოდნა ინსტიტუტების შესახებ, აითვისონ ძირითადი მიდგომები და მეთოდები ინსტიტუტების შედარებითი ანალიზისა და შეძლონ მათი გამოყენება კონკრეტულ პოლიტიკური ინსტიტუტთა და სისტემათა ანალიზისათვის. სტუდენტებმა უნდა შეიძინონ უნარ – ჩვევები მოცემულ თემებზე ანალიზის წერილობითი ფორმით წარმოდგენისათვის.

## მეთოდიკა

თითოეული შეხვედრა გრძელდება 2 საათის განმავლობაში (კვირაში ორჯერ)		
სტრუქტურა ყველა შეხვედრისათვის: SHOW, EXPLAIN, EMULATE, DRILL	სტრუქტურა აგებულია შემდეგი პრინციპების დაცვით — მარტივიდან რთულისაკენ. KNOWLEDGE, COMPREHENSION, APPLICATION	
პირველ სესიაზე: ჯგუფის გაცნობა და მუშაობის წესების დადგენა. ყველა სხვა შეხვედრისას ხდება თეორიული ნაწილის პრეზენტაცია.	KNOWLEDGE ცოდნა	ლექტორი თითოეულ თემატიკაზე აძლევს თეორიულ ცოდნას, რაც მთლიანი დროის 30-40%-ს იკავებს.
თეორიული ნაწილის დამუშავება. ინტერაქტიული სწავლება. მცირე და დიდ ჯგუფში დისკუსია	COMPREHENSION გაგება	ლექტორი ამზადებს მასალებს ახსნილი მასალის გასაგებად და სავარჯიშოდ. იყენებს მცირე და დიდ ჯგუფებში დისკუსიას, (ინტერაქტიულ მეთოდებს). ჯგუფი მიყავს დასკვნამდე და არ აწვდის დასკვნას. მიაქვს დროის 30%.
წარმოდგენილი მასალა, რომლის განხილვაც ხდება და შემდგომ დავალება დამოუკიდებელი მუშაობისათვის ამ შეხვედრაზე განვლილ თემატიკასთან დაკავშირებით.	APPLICATION გამოყენება	თითოეულ წევრს ეძლევა დავალება კონკრეტული პროექტის მოსამზადებლად და შემდგომ იგი აკეთებს პრეზენტაციას ჯგუფში. იყენებს ჯგუფს, როგორც peer review. ამ საქმიანობას უკავია დროის 30%.

## სემინარის სტრუქტურა (4 კვირა – 16 სააუდიტორო საათი, 4 კრედიტი)

სემინარის თემები განაწილებული იქნება კვირების მიხედვით. თითოეულ კვირაში ჩატარდება 4 სთ სააუდიტორო შეხვედრა – 2 + 2 საათი. სემინარის მუშაობის პერიოდში სტუდენტები ვალდებული არიან წაიკითხონ აუცილებელი ლიტერატურა, მონაწილეობა მიღონ დისკუსიებში. თითოეულმა სტუდენტმა ცალკე ან მცირე ჯგუფის (2-3 სტუდენტი) შემადგენლობაში უნდა მოამზადოს და წარმოადგინოს პროექტი.

შეფასება: დასწრება — 20%

დისკუსიებში მონაწილეობა — 30%

პროექტი: შესრულება და პრეზენტაცია — 50 %

# I კვირა

## რა არის ინსტიტუტები და როგორ მუშაობენ ისინი

### შესავალი

II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი პოლიტიკურ მეცნიერებაში, განსაკუთრებით აშშ-ში, შეიძლება დახასიათდეს როგორც პერიოდი, როდესაც ამ დისციპლინაში წამყვანი ადგილი დაიკავა ორმა თეორიულმა მიდგომამ, რომელიც ეფუძნებოდა ინდივიდუალიზმს: ბიპევიორიზმა და რაციონალური არჩევანის თეორიამ. ორივე ეს მიდგომა გულისხმობს, რომ ინდივიდთა მოქმედება ავტონომიურია (როგორც ცალკეული ინდივიდებისა) და რომ იგი (მოქმედება) ეფუძნება სოციო-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებსა და თვისებებს, და მათი პერსონალური სარგებლის რაციონალურ გაანგარიშებას. ორივე შემთხვევაში, პოლიტიკური პროცესის მიმართ პრეფერენციები ეგზოგენურია.

ამ თეორიულმა და მეთოდოლოგიურმა მიდგომებმა ინსტიტუტები, როგორც პოლიტიკური მეცნიერების ცენტრალური თემა, უკანა პლანზე გადაწია.

XXI-ის 80-იანი წლებიდან ინსტიტუციონალიზმი კვლავ იბრუნებს წამყვან ადგილს პოლიტოლოგიურ კვლევებში. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური და საზოგადო სოციალური მეცნიერებებისათვის სულ უფრო მისალები და დამახასიათებელი ხდება კომპლექსური არაფორმალური მიდგომებში: არც ერთი ცალკე აღებული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკის ფენომენების მეტ-ნაკლებად სრულფასოვან გაგებასა და ახსნას.

ახალი ინსტიტუციონალიზმისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე: 1. კონცენტრირება, არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ არაფორმალურ ინსტიტუტებზეც; და 2. ინსტიტუციონალური ახსნა გამოიყენება არა მხოლოდ მთავრობათა და მათი პოლიტიკის (Policy) შესწავლისას, არამედ ინდივიდუალური ქცევის დონეზეც.

თავად ინსტიტუციონალიზმიც თავის შიგნით არ შეიძლება ჩაითვალოს ერთიან მონოლიტურ მიმდინარეობად: ის შეიძლება წარმოვიდგინოთ მეტ-ნაკლებად განსხვავებული “ინსტიტუციონალიზმების” კრებულად, კომპლექსურულობის განსხვავებული მიდრეკილებებით, რომელთაც აერთიანებთ ინტერესი ინსტიტუტთა შესწავლისადმი და მათი მნიშვნელობის აღიარება.

ბ.გი პეტერსი ძველი ინსტიტუციონალიზმის მთავარ მახასიათებლებად მიიჩნევს ლეგალიზმს (იგი დაკავშირებულია კანონთან და მართვაში კანონის ცენტრალურ როლთან), სტრუქტურალიზმს (სტრუქტურა განსაზღვრავს ქცევას და ამდენად ცენტრალურ ადგილს იკავებს პოლიტიკური სისტემა — ანტიპიპევიორისტულია), ჰილიზმს (აქცენტი უფრო მთელი სისტემების განხილვაზე, ვიდრე ცალკეული ინსტიტუტებისა), ისტორიციზმს (სისტემის გასაგებად აუცილებელია გავიგოთ მისი განვითარების მოდელი, წესი), ნორმატიულ ანალიზს (ანალიზის მიმართება ტრადიციული პოლიტიკური მეცნიერების ცენტრალურ საკითხთან — “კარგი მმართველობა”).

ბიპევიორისტულმა და “რაციონალურმა” (“რაციონალური არჩევანის”) რევოლუციამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ახალ ინსტიტუციონალიზმზე, რომელიც დამოკიდებულია ამ რევოლუციაზე როგორც პოზიტიური (აითვისა მისგან გარკვეული თეორიული მიდგომები და კონცეფციები), ასევე წევატიური (მისი კრიტიკის საფუძველზე ჩამოაყალიბა ახლებური მიდგომები და კონცეფციები) თვალსაზრისით. ამ რევოლუციისათვის დამახასიათებელი იყო: ანტინორმატიული საფუძველი, მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი, “ინფუზიზმი” (Input — “შენატანი”, ანუ რევერსირება და კონცენტრირება საზოგადოების “შენატანზე” პოლიტიკურ სისტემაში — იხ. მაგ, დ.ისტონი).

ახალ ინსტიტუციონალიზმში ბ.გი პეტერსი გამოყოფს შემდეგ მიმდინარეობებს:

1. ნორმატიული ინსტიტუციონალიზმი;
2. რაციონალური არჩევანის თეორიის სინთეზი ინსტიტუციონალიზმთან;
3. ისტორიული ინსტიტუციონალიზმი;
4. ემპირიული ინსტიტუციონალიზმი;
5. სოციოლოგიური ინსტიტუციონალიზმი;
6. ინტერესთა წარმომადგენლობის ინსტიტუციონალური ანალიზი;

რასაკვირველია, ეს დაყოფა გარკვეულწილად პირობითია და ბევრი მნიშვნელოვანი თეორია, მიღვომა თუ კვლევა განთავსებულია ამ მიმდინარეობათა გადაკვეთაზე.

ძირითადი საკითხები, რომელთა შესწავლასა და განხილვას აწარმოებს ახალი ინსტიტუციონალიზმი (როგორც თეორია, ასევე კონკრეტულ ინსტიტუტთა კვლევა) შემდეგია:

- რა არის ინსტიტუტი, რას წარმოადგენს, რისგან შედგება;
- როგორ იქმნება ინსტიტუტი, ინსტიტუციონალიზაცია და დეინსტიტუციონალიზაცია;
- როგორ იცვლება ინსტიტუტი, გამიზნულობა, ცნობიერი ფაქტორი;
- როგორ ურთიერთქმედებენ ინსტიტუტები და ინდივიდები;
- როგორ აიხსნება ქცევა;
- როგორია ინსტიტუტის (ინსტიტუტების) დიზაინი;
- როგორია “კარგი ინსტიტუტი”;

## მეთოდოლოგიური შენიშვნები:

### ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები

ანტიკური დროიდან მოყოლებული პოლიტიკური თეორია დაკავებული იყო პოლიტიკური ინსტიტუტების საკითხებზე მსჯელობით, მთავარი საკითხი იყო: როგორ პოლიტიკურ ინსტიტუტებს შეუძლიათ უზრუნველყონ უკეთესი (კერგი) ტიპის საზოგადოებისა და ადამიანის ჩამოყალიბება (შეემნა). XVIIIს-ის ბოლოდან და განსაკუთრებით XIXს-ში საკითხმა პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობის შესახებ შეიძინა პრაქტიკული განზომილება აქტიური კონსტიტუციონალისტური პროცესების გამოისობით – მომდინარეობდა ახალი, ინდუსტრიული საზოგადოების, ახალი ეკონომიკისა და ახალი ტიპის სახელმწიფოს – ერი-სახელმწიფოს ინსტიტუციონალიზაციის პროცესი.

XXს-ის პოლიტიკურ მეცნიერებაში უტილისტარისტული, ბიპევიორისტული ტენდენციების და ვიწოდგაგებული რაციონალური არჩევანის თეორიის მოძღვავრების პირობებში, ინსტიტუტების შესწავლაც ამ მიღვომების კალაპოტში წარიმართებოდა და ინსტიტუტების ნორმატიული ასპექტი პრაქტიკულად იგნორირებული იყო.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან მოყოლებული პოლიტიკური ინსტიტუტები კვლავ იკავებენ ცენტრალურ ადგილს პოლიტიკურ თეორიაში. ეს პასუხია იმ ცვლილებებზე, რომლებსაც “დასავლური” საზოგადოება განიცდის მოდერნიდან პოსტმოდერნის ეპოქაში გადასვლისას, იმ კრიზისზე, რომელსაც დასავლური საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტები (მაგ, “საზოგადოებრივი სფეროს კრიზისი”, “ლეგიტიმურობის კრიზისი”, “დელიბერატიული დემოკრატია” – ჰაბერმასი) განიცდიან, იმ ცვლილებებზე, რომლებსაც ლირებულებრივი ორიენტირები განიცდიან (როგორც ის „სამართლიანობის თეორია“, უოლცერი, ელსტერი...- თეორია; ინგლეპარტი – მოდერნიზაცია და პოსტმოდერნიზაცია – ემპირია...). ეკროგაერთიანების ფარგლებში მიმდინარე ინტენსიური ინსტიტუციონალური მშენებლობა ამ გამოწვევაზე პასუხად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

თავად იმანენტური განვითარება მეცნიერებისა, განსაკუთრებით ეკონომიკაში და ზოგად სოციალურ მეცნიერებაში ერთი ძლიერი სტიმულატორი იყო ინსტიტუტებისადმი მიბრუნებისა (კოუზი, ოლსონი, ნორტი...).

80-იანი წლების ბოლოდან იწყება ინსტიტუციონალური მშენებლობის ბუმი – პრაქტიკულად ახლადფორმირებად ყოფილ სოციალისტურ და საბჭოთა სახელმწიფოებში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში კოსტიტუციონალისტური პროცესი შეიძლება მივამსგავსოთ XXს-ში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მიმდინარე პროცესებს, მათ ერთი არსებითი რამ განასხვავებთ: უკანასკნელ პროცესს (XIXს-ის 80-იან წლებს) თან არ სდევდა და მით უმეტეს წინ არ უსწრებდა თეორიული გააზრება და ანალიზი არც ინსტიტუტთა რაობისა და არც ინსტიტუციონალური მშენებლობის პირობებისა; არც ინსტიტუტთა მიმართებისა სხვა სოციალურ და პოლიტიკურ ფენომენებთან. სხვა, ნაკლებმნიშვნელოვან მიზეზებთან ერთად, ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ არსებობდა ილუზია, რომ შესაძლებელია ე.წ. “დასავლური დემოკრატიის მოდელის” (რომელიც თავისთავად სინამდვილეში არ არსებობს, მით უმეტეს ფორმალიზებული ინსტიტუციონალური სისტემის სახით, და რომელიც მეტ-ნაკლებად ერთიან – მრავალვარიანტულ ძალიან თეორიულ და ზოგად მოდელად შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ) ნებისმიერ ქვეყანაში იმპლიმენტაცია.

ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში წარმართულმა პროცესებმა ნათლად აჩვენა ამგვარი მცდელობების წარუმატებელი შედეგები და თუ გვსურს, ისე როგორც ანტიკურ დროში “უკეთესი (კარგი) საზოგადოება” შევქმნათ, უნდა მივუბრუნდეთ ინსტიტუტების ბუნებისა და ინსტიტუციონალური მშენებლობის შესაძლებლობათა ფუნდამენტურ შესწავლას.

იმისთვის, რომ ამგვარი კვლევები ეფუძნული და აზრიანი იყოს, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, სიცხადის შეტანა იმ ცნებების შესახებ, რომელიც იქნება გამოყენებული საკვლევი ფენომენებისა და მიმართულება ინსტიტუციონალისტური კვლევებისა.

დავიწყოთ თეორიითა და ცნებებით.

ინსტიტუტები ამცირებს გაურკვევლობას!

ინსტიტუტები არის თამაშის წესები საზოგადოებაში, ან უფრო ფორმალურად, ისინი არის ადამიანის (ადამიანთა, ადამიანურად) მიერ განსაზღვრული (გამოგონილი) შეზღუდვები, რომლებიც აძლევენ ფორმას ადამიანურ ურთიერთობებს.

დუგლას ნორტის (North) ეს განსაზღვრება თანაბრად ეხება როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებს. იგივე განმარტება არ ასხვავებს ერთმანეთისგან ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს.

ინსტიტუტი, ეს არის ტერმინი, რომელიც ფართოდ გამოიყენება სოციალური პრაქტიკის აღსანერად, რომელიც რეგულარულად და განგრძობითად მეორდება და არის სანქცირებული და მხარდაჭერილი სოციალური ნორმებით. (Sociology, Penguin Dictionary)

აქაც ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის განსხვავება არ არის.

იგივე North-ი ასხვავებს ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს (რაც იშვიათია სხვა ავტორებთან): თუ ინსტიტუტები ეს არის წესები, ორგანიზაციები ეს არის წარმონაქმნები (სოციალური), რომლებიც წარმოიქმნებიან და ფუნქციონირებენ ამ წესების მიხედვით: ე.ი. წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ხელისუფლების ფორმირებისა და ფუნქციონირების წესი იქნება ინსტიტუტი, ხოლო პარლამენტი - ორგანიზაცია (წესს არა აქვს მატერიალისტური შემადგენელი, ორგანიზაცია შედგება ადამიანებისაგან). წესი შეიძლება იყოს ყოველთვის ერთი და იგივე, ერთნაირი, ორგანიზაცია - შეუძლებელია...).

აქ მე, უპირველეს ყოვლისა, ვილაპარაკებ ინსტიტუტებზე, ე.ი. წესებზე და არა ორგანიზაციებზე. ინსტიტუტები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ არა მხოლოდ ორგანიზაციების ფორმასა და შინაარსს, ჩარჩოებს, არამედ იმ ადამიანების ტიპსაც (მოტივაციას, ქცევის წესს, მისწრაფებებს), რომლებიც ავსებენ ორგანიზაციის ჩარჩოს.

განვასხვაოთ ერთმანეთისგან ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები. ბუნებრივ ენაში შეიძლება ამას შეესაბამებოდეს შემდეგი გამონათქვამები - დაწერილი და დაუწერელი კანონები.

შემოვიღოთ კიდევ ორი ცნება:

ნორმები	ლირებულებები
<p>ნორმები არის მოლოდინები შესაბამისი (მისადაგებული-მისაღები-დამახასიათებელი-appropriate) ქცევის (მოქცევის) შესახებ, რომელიც ემსახურება (serve) როგორც საზოგადო წარმართველი (სახელმძღვანელო ხაზი - common guidelines) სოციალურ მოქმედებას. - ნორმები გულისხმობს არსებობას ლეგიტიმურობისა, თანხმობისა და წინასწარგანსაზღვრულობისა.</p>	<p>ჩვეულებრივ ასხვავებენ ღირებულებებს (values), რომლებიც განიხილება როგორც პერმანენტული და მნიშვნელოვანი საზოგადოებისათვის, და დამოკიდებულებებს (attitudes), რომლებიც არის წარმავალი (fleeting) და არასტაბილური. მაშინ როდესაც ადამიანთა დამოკიდებულებები ხშირად იცვლება, საზოგადოება დამოკიდებულია მეტ-ნაკლებად სტაბილურ ღირებულებებზე.</p> <p>ღირებულებები არის ზოგადი, გაზიარებული შეხედულებები, რომლებიც განიხილება როგორც ლეგიტიმურობის მიმცემი და შემზღვეველი (binding); ისინი მოქმედებენ (არიან - act) როგორც სტანდარტები, რომელთა გათვალისწინებითაც შეირჩევა მოქმედებები (მოქმედების გეზი) (Parsons)</p>

პარსონსის მიხედვით სოციალური წესრიგი უპირატესად განპირობებულია ღირებულებების არსებობითა და მათი ფუნქციონირებით.

სქემატურად წარმოვიდგინოთ ფორმალური ინსტიტუტების, არაფორმალური ინსტიტუტების, ნორმებისა და ღირებულებების ურთიერთმიმართებები. ფორმალური ინსტიტუტებისა და ღირებულებების ურთიერთმიმართება შეიძლება წარმოვიდგინოთ გაშუალებულად არაფორმალური ინსტიტუტებისა და ნორმების მეშვეობით.

ფორმ. ინსტ.	არაფორმ. ინსტ.	ნორმები	ღირებულებები
*	*	*	*

ყველაზე ეფექტურად ფორმალური ინსტიტუტები ფუნქციონირებს, თუ დაცულია განპირობებულობის (განსაზღვრულობის) მოტანილი სქემა.

რა ურთიერთმიმართებები შეიძლება წარმოვიდგინოთ ზემოთ მოტანილი ფენომენებისა?

ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ურთიერთმიმართება არსებითა სოციალური წესრიგის უზრუნველყოფისათვის თანამედროვე საზოგადოებაში!

1. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები რამდენადც უფრო უახლოვდება ერთმანეთს, იმდენად უფრო გარკვეული, მტკიცე, სტაბილური და მკაფიობრივი და ისინი (ნორმები) მიისწოდან უნივერსალობისაკენ (ფართოდ გავრცელებისაკენ).

2. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები რამდენადც უფრო დაშორებულია (შორდება) ერთმანეთისაგან, მით უფრო მყიფე, არამკაფიო, არაგანმეორებადი და არასტაბილურია, ნაკლებად უნივერსალურია (ნაკლებად გავრცელებულია ერთიანი) ნორმები - ისინი (ნორმები) მიისწოდან პარტიკულარულობისაკენ (ვარირებენ ცალკეული ჯგუფებისა და შესაძლოა ინდივიდების დონეზე).

3. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ურთიერთზემოქმედება:

ა) ფორმალურ ინსტიტუტებს, თუ ისინი ეფექტურად მოქმედებენ (მაგ, კანონები სრულდება), შეეძლიათ შეცვალონ (მოახდინონ ტრანსფორმირება) არაფორმალური ინსტიტუტები, რაც თავის მხრივ (ეს ცვლილება), მიღრევილი იქნება განგრძობითობისაკენ ჯერ ნორმების და შემდეგ ღირებულებების მიმართულებით.

ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას ფორმალური ინსტიტუტები განსაზღვრავენ სოციალურ წესრიგს. (მიესადაგება როგორც დიქტატურას, ასევე დემოკრატიას!)

ბ) ფორმალურ ინსტიტუტებს, თუ ისინი არაეფექტურად, არაადეკვატურად მოქმედებენ (მაგ. კანონები არ სრულდება), არ შეუძლიათ შეცვალონ არაფორმალური ინსტიტუტები და შესაბამისად, მათი ზემოქმედება არ ვრცელდება არც ნორმებზე და არც შემდგომ, ღირებულებებზე.

ფორმალური ინსტიტუტების მოქმედების არეალი თანდათანობით იზღუდება, ხოლო არაფორმალური ინსტიტუტები იკავებენ მათ ადგილსაც და ასრულებენ რეალურად სოციალური წესრიგის განმსაზღვრელ ფუნქციას!

გ) როდესაც სოციალური წესრიგის განმსაზღვრელი ფუნქცია უკავიათ არაფორმალურ ინსტიტუტებს (ანუ ცხოვრება მიმდინარეობს არაფორმალური წესების მიხედვით), მყარდება სპეციფიკური ურთიერთდამოკიდებულება ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის.

ინსტიტუტების ნებისმიერი დისპოზიციის შემთხვევაში სოციალური წესრიგის მქონე საზოგადოება (მით უმეტეს რაიმეგვარი თანამედროვე სახელმწიფო) ვერ წარმოიდგინება ფორმალური ინსტიტუტების არარსებობის პირობებში. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც წამყვანი ადგილი უკავიათ არაფორმალურ ინსტიტუტებს, ფორმალური ინსტიტუტების ფუნქცია ხდება მხოლოდ გაფორმება იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც არაფორმალური წესების საფუძველზე მიიღება: მაგ., არაფორმალურად მოქმედებს ინსტიტუტი - წესი, რომ მთავრობას (ან რომელიმე ჯგუფს, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენს მთავრობას) შეეძლია დაპატიმრება ნებისმიერი (მისთვის არ მისაღები) პირისა, მაგრამ არსებობს ფორმალური შეზღუდვები. მთავრობა არღვევს ნაწილს ასეთი შეზღუდვებისა (მაგ, უდებს იარაღებს, ან ნარკოტიკებს დასაპატიმრებელ პირს) და მისდევს მეორე ნაწილს ფორმალური წესებისა (კანონები მოქმედებს ისე, როგორც უნდა ემოქმედა, თუ მართლაც ნაპოვნი იქნებოდა იარაღი ან ნარკოტიკები). იგივე სქემა იმისა მიმდევებს ეკონომიკის სფეროში - გადასახადების არგადახდის, ან ნაწილობრივ გადახდის შემთხვევაში და სხვა.

თანდათან ხდება ინსტიტუციონალიზება არსებული ურთიერთდამოკიდებულებებისა (ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის), ყალიბდება ერთგვარი სინთეზური ინსტიტუტები, რომელიც, რასაკვირველია, არაფორმალურია, მაგრამ თავის თავში შეიცავს ფორმალურ ინსტიტუტებსაც, რომლებიც სრულად ფორმალურად არ ფუნქციონირებენ.

მსგავს ვითარებაში სპეციფიკურ ფორმებს იღებენ მოქმედების ორიენტირები, ისეთები, როგორიცაა მაგალითად, რაციონალური არჩევანი, სამართლიანობა, თანასწორობა და სხვა.

მე ვფიქრობ, რომ ორიენტირთა და ინსტიტუტთა კვლევა მათი სხვადასხვა კონფიგურაციის პირობებში და კერძო, ცალკეული ინსტიტუტების (ორგანიზაციების) დეტალური ანალიზი, შექმნის შესაძლებლობას უკეთ გავიაზროთ ის მწვავე ინსტიტუციონალური კრიზისი, რომელიც არა მხოლოდ ჩვენი საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი. რა თქმა უნდა, ეს გააზრება და ცოდნა ტენდენციებისა მხოლოდ ვერ შეძლებს თავიდან აგვაცილოს არასასურველი ტენდენციები ინსტიტუციონალურ ტრანსფორმაციებში, მაგრამ ხელს ნამდვილად არ შეგვიშლის.

### **სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა:**

1. North, Douglass C, Institutions, Institutional Change, and Economic performance, Cambridge, CUP, 1990, Chapters 1-2. (გვ.3-69)
2. March, James, Olsen, Johan P., Rediscovering Institutions. New York, Free Press, 1989., Chapter 1.
3. Shepsle, Kenneth, “Studying Institutions: Some Lessons from the Rational Choice Approach,” Journal of Theoretical Politics, 1989, 1 (2), pp.131-147 (ელექტრონული).
4. Peters, B.Guy “Political Institution, Old and New” in: Robert E. Goodin and Hans Dieter Klingemann, eds, A New Handbook of Political Science, Oxford, Oxford University Press, 1996.
5. Джекффи Ходжсон, Экономическая теория и институты, М., 2003, гв. 9-13, 35-59.

### **დამატებითი საკითხავი ლიტერატურა:**

1. Kenneth A. Shepsle, Mark S. Bonchek, Analyzing Polities: Rationality, Behavior, and Institutions, New York, 1997, pp. 15-38.
2. Brooke A. Ackerly, Designing Democratic Institutions: Political or Economic? – “Designing Democratic Institutions”, Ed. by Ian Shapiro and Stephen Macedo, New York University Press, New York and London, 2000, pp. 285.
3. Karol Soltan, Institutions as Products of Politics, – “Institutions and Social Order”, Eds. Karol Soltan, Eric M. Uslaner, Virginia Haufler; University of Michigan, 1998, pp. 45-66.
4. Robert E.Goodin, “Institutions and their Design”, in: Robert Goodin (ed.) The Theory of Institutional Design, Cambridge University Press, 1990.
5. Ostrom, Elinor, Governing the Commons: The Evolution of Institutions for Collective Action, 1990. pp. 1-102
6. Elias, Khalil, “Organizations vs. Institutions”, Journal of Institutional and Theoretical Economics, 1995, 151, pp.445-466.
7. John Druzak, “The Informal Logic of Institutional Design”, in: Goodin R., (ed.) The Theory of Institutional Design, CUP, 1990.
8. Russell Hardin, Institutional Morality”, in: Goodin R., (ed.), The Theory of Institutional Design, CUP, 1990.
9. Itai Sened, The Political Institution of Private Property, 1997.
10. North, Douglass C, Institutions, Institutional Change, and Economic performance, Cambridge, CUP, 1990, Part 3, pp.107-140
11. Itai Sened, On the Social Contract. Caucasus US context, Issue 1, Tbilisi, 2003
12. H. de Soto, The Mystery of Capital, Basik Books, 2000
13. Tsebelis, George., Veto Players: Foundation of Political Analysis. Princeton, Princeton University Pres, Ch. 1-6.
14. Ken Shepsle, “political Deals in Institutional Settings”, in: Goodin, R., (ed.) The Theory of Institutional Design, CUP, 1990.

## II კვირა

# პოლიტიკური ინსტიტუტები საზოგადოებისა და პოლიტიკის გადაკვათაზე: პოლიტიკური პარტიები

### შესავალი

პარტიებთან ტრადიციულად ასოცირებულია ფუნდამენტური ფუნქციები, რომლებიც განაპირობებენ თავად არსებობას ლიბერალური დემოკრატიისა: ხალხის ნების გამოხატვის სტრუქტურირება, ხალხის (ამომრჩეველთა, საზოგადოების) ინტეგრაცია და მობილიზაცია, ინტერესთა აგრეგირება (და დელკარირება), ლიდერთა რეკრუტირება საჯარო თანამდებობებზე, სახელმწიფო პოლიტიკის (საჯარო პოლიტიკების) ფორმულირება (ფორმირება). აქედან გამომდინარე, თანამედროვე დემოკრატიული მმართველობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პარტიული მმართველობა და (დიდწილად) სწორედ ამგვარობის გამო იღებს იგი აღიარებას და ლეგიტიმიზირდება: პარტიები გამოდიან (ხდებიან) ძირითად ინსტრუმენტად ინსტიტუციონალური ლეგიტიმიზირდებისა (დემოკრატიული მმართველობისა). ამავე დროს, პოლიტიკურ სისტემაში პარტიათა ლეგიტიმიზირდების საკითხი განუყოფელია თავად მათი ლეგიტიმურობის საკითხისაგან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ან როდესაც) ლეგიტიმური არიან თავად პარტიები, შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალონ (აღიარებულ იქნან) მათ მიერ რეკრუტირებული ლიდერები, მათ მიერ ფორმულირებული პროგრამები (და პოლიტიკები — ოლიცე) და მათ მიერ შექმნილი (კონტროლირებული) მთავრობები. პარტიათა ლეგიტიმურობის (ერთ-ერთ) უმთავრეს საფუძველს აქამდე (დღევანდელობამდე) დასავლეთში წარმოადგენდა მათი მასიურობა. პარტიები გამოხატავდნენ ხალხის (საზოგადოებრივ) ნებას და უზრუნველყოფდნენ გადამწყვეტ კავშირს მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის — და ამას ახორციელებდნენ როგორც მასობრივი ორგანიზაციები, რამდენადაც სწორედ როგორც ასეთები მიეკუთვნებოდნენ ისინი საზოგადოებას, რომლისგანაც იყვნენ წარმოშობილნი (წარმოქმნილნი). მასობრიობის (და შესაბამისად ლეგიტიმურობის) უმთავრეს მახასიათებლად მიიჩნეოდა მათი წევრთა რაოდენობრიობა, ელექტორატის მნიშვნელოვანი სეგმენტების სტაბილური მხარდაჭერა, პარტიის წევრებისა და მსხვილი ინტერესთა ჯგუფების გავლენა პარტიული პოლიტიკის ფორმირებაზე, და, აგრეთვე, მატერიალური დამოკიდებულება (პარტიის არსებობისა და ფუნქციონირებისა) ნებაყოფლობით აქტივობასა და ფინანსურუ წყაროებზე, რომლებიც წარმოადგენდა წევრთა შენატანებსა და ინსტიტუციონალურ შემონირულობებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფდა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ქმედებაში.

თანამედროვე ვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნება მთელი რიგი მიმართულებებით. სულ უფრო იზრდება მნიშვნელობა ე.ნ. მარკეტინგული ფენომენისა, რომელიც პრიციპულად ცვლის ურთიერთმიმართებას და ურთიერთქმედებას, ერთი მხრივ, პარტიებსა და მათ (რეკრუტირებულ) კანდიდატებს შორის, და მეორე მხრივ, პარტიებსა (და კანდიდატებს) და ამომრჩევლებს შორის. ადრინდელი მობილიზაციური და მიერთებული სქემის მიხედვით პარტიები (და კანდიდატები) ცდილობდნენ “მოქადაციათ თავის რწმენაზე” რაც შეიძლება მეტი მოქალაქე, დაერთმუნებინათ ისინი საკუთარ სიმართლეში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს იქნებოდა სარისკო უახლოესი ელექტორალური შედეგის თვალსაზრისით. ქცევის ამ ტიპს შეიძლება ვუზოდოთ მისიონერული, რამდენადაც ის გულისხმობდა “გაუთვითცნობიერებელი” ამომრჩევლების “განათლებას” და მათთვის პოლიტიკოსთა (პარტიათა და მათ კანდიდატთა) მიერ შემუშავებული (ფორმულირებული) მათივე (ამომრჩეველთა) ინტერესების გაგების ახსნა-განმარტებას. მარკეტინგული (ანუ საბაზო) პარადიგმის მიხედვით, პირიქით, სწორედ ელექტორალური წარმატება, როგორც მთავარი მიზანი, განსაზღვრავს ყველა დანარჩენ პარამეტრს, მათ შორის შეთავაზებული პოლიტიკური საქონლის პარამეტრებსა და კონკურენტული ბრძოლის ფორმებს. პროდუქტი (საქონელი), რომელიც წარედგინება (მიერწოდება) ამომრჩეველ-მომხმარებელს (მყიდველს), დამზადებულია (შექმნილია) სამომხმარებლო მოთხოვნის (ანუ ამომრჩეველთა პრეფერენციების) შესწავლის საფუძველზე და კონკრეტული არჩევნებისათვის (კონკურენტული ბაზრისათვის). სწორედ ამით უნდა აიხსნას დღევანდელობისათვის თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული ზრდა პოპულისტური ტენდენციებისა, როგორც მისწრაფება დაკამაყოფილებულ იქნეს ამომრჩევლის მოთხოვნები, როგორც მომხმარებლისა. თავის მხრივ, არათანმიმდევრულობასა


და გაცნობიერებულ გადახრას მარკეტინგული მიდგომიდან მივყავართ დანახარჯების ზრდასთან და მათი ეფექტურობის შემცირებასთან. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი, პირობითად რომ ვთქვათ, “კომივოიაუერული” (მარკეტინგული) ქცევის ტიპი დასაშვებს ხდის ვაჭრობას იმგვარი ნიმუშებით (საქონლით, პროდუქტით), რომლის ხარისხიც არა ყოველთვის შეესაბამება რეკლამირებულს (ან სხვაგვარად: რეკლამირებული ნიმუში არ შეესაბამება სერიულ პროდუქციას): რეკლამირებული და, როგორც შედეგი, ამომრჩეველთა (მომხმარებელთა) მიერ შეძენილი პროდუქტი — ხელისუფლება (ტიპი-ნიმუში), რეალურად შესაძლოა ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

## პარტია: ფუნქცია, სტრუქტურა და ორგანიზაცია

განვიხილოთ პარტიის სამი ტიპი: 1) პარტია, რომელიც რჩება უცხო გარეთ მთავრობისგან და არ ერევა მის საქმიანობაში 2) რომელიც მონაწილეობს სისტემაში მაგრამ არ მართავს 3) მმართველი პარტია. სხვადასხვაა პარტია მთავრობაში და პარტიული მმართველობა.

თავიდან XVIII ს-ში ინგლისში იყო არა პარტიული მმართველობა, არამედ პასუხისმგებელი მთავრობა, რის შემდეგაც განვითარდა პარტიული სისტემა. თავიდან კი წარმომადგენლები კონტროლის ფუნქციას ასრულებდნენ ხალხისთვის, რაც არ ნიშნავს კონტროლს ხალხის მიერ. წარმომადგენლობა იყო ვირტუალური და არა ელექტორალური. პარტია იყო არისტოკრატული, მას არ სჭირდებოდა ხმები. მთავრობა პასუხისმგებელი იყო პალატების მიმართ. როცა ის პასუხისმგებელი გახდა ხალხის მიერ არჩეული პარტიების, ანუ ხალხის მიმართ, ის გახდა რეაგირებადიც. ეს პროცესი ზემოდან დაიწყო, როცა წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ მათ ხმას მეტი წონა ექნებოდა, თუ ისინი უფრო დაუკავშირდებოდნენ ხალხს, ანუ გახდებოდნენ უფრო ელექტორული. ეს საარჩევნო უფლებების გაზრდით გამოიხატა. ამრიგად, საარჩევნო უფლებების გაზრდა პარლამენტისა და მთავრობის პაქტორის რეზულტატი იყო. არა მარტო პარლამენტი, არამედ მთავრობაც მიმართავდა ამომრჩევლების მხარდაჭერის არსებობას პარლამენტის გვერდის ავლით. ეს არ ნიშნავს, რომ ეს მხოლოდ ზემოდან იყო გატარებული, ქვემოდანაც იყო ზეწოლა. ამ პროცესის შედეგი არის 1) პარტიის გამყარება (solidification), ანუ პარტიები შეკრულები ხდებიან არა მარტო პრინციპების საფუძველზე, არამედ იმიტომაც, რომ მათი სტაბილურობა ელექტორალური წარმატებების საწინდარია; და 2) მთავრობა პასუხისმგებელიდან გარდაიქმნება რეაგირებად მთავრობად (responsible responsive), ან ამ ორის კომბინაციად. შეიძლება მთავრობა იყო რეაგირებადი და არა პასუხისმგებელი, ანუ უარყოფდეს მხოლოდ მის პასუხისმგებლობას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეაგირებადი მთავრობა ნიშნავს პარტიულ მთავრობას, რადგან თუ პარტიებს არ ექნებათ მართვის საშუალება, ისინი ვერ შეძლებენ ელექტორატის მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებას, თუმცა მეორე მხრივ, თუ ეს პარტიები არ გაატარებენ თავიანთ პროგრამებს, შემინ პარტიული მთავრობის საჭიროება არ არსებობს.

ელექტორალური სისტემის გაფართოება ქმნის ხმებისთვის მებრძოლი პარტიების ფენომენს, ეს ელექტორატის წინაშე პასუხისმგებელ პარტიებს, პარტიულ მთავრობას — რეაგირებად მთავრობას. ანუ პარტიული სისტემა იქნება უფრო გვიან ვიდრე პარტიები, მხოლოდ მას შემდეგ რაც საარჩევნო უფლებების გაზრდა იმ დონეს მიაღწევს, როცა ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ელექტორატის მხარდაჭერა პარტიებისთვის გადამწყვეტი ხდება, არისტოკრატული პარტიები იქცევიან დემოკრატიულ პარტიებად, მასიურ პარტიებად (mass party, ეს არ შეეხება თავად პარტიის ზომას). თანმიმდევრობაა: პასუხისმგებელი მთავრობა ——> არჩევების “რეალობა” ——> პარტიული სისტემის ჩამოყალიბება.



## რაციონალიზაცია

პარტიის ძირითადი პარამეტრებია: (რაციონალური მიდგომა ეს არ არის ყოველთვის რეალური)

1. პარტიები არ არიან დაჯგუფებები (factions)
2. პარტია არის მთელის ნაწილი (parts of a whole)
3. პარტიები არიან ექსპრესიის არხები (channels of expression)

1. დაჯგუფებები გამოხატავენ მხოლოდ ვიწრო, პერსონალურ ინტერესებს. ეს არ იიშნავს, რომ პარტიის წევრებს ასეთი ინტერესები არ გააჩნიათ, მაგრამ მისი ქცევა ვერ იქნება ამ მოტივაციის შესაბამისი, რასაც სისტემის მექანიზმები უზრუნველყოფს. მოკლედ რომ ვთქვათ, პარტიები ფუნქციონალური ინსტიტუტებია, დაჯგუფებები კი არა. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარტიები დაჯგუფებებისგან წარმოიშვნენ და საფრთხე ყოველთვის არსებობს, რომ მათი ფუნქციების დაკარგვა და კვლავ დაჯგუფებად გადაქცევა მოხდეს.

2. პარტია არის პლურალისტული მთელის ნაწილი, მთელი შედგება ნაწილების ურთიერთებისაგან და არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს მხოლოდ ერთ ნაწილთან. ამ შემთხვევაში, არც ნაწილი, არც მთელი იქნება მთელი. რაც შეეხება პარტიას, ის არის ნაწილი (პარტი), რომელიც არ შეიძლება განვიხილოთ მთელთან კავშირის გარეშე. თუ ის არ იღწვის მართოს მთელის სასარგებლოდ, მაშინ ის არ არის პარტია და არის დაჯგუფება. პარტია არის ნაწილი, მაგრამ მისი ქმედება არაა ნაწილის, არამედ მთელის საკეთილდღეოდ. თუმცა, „მთელის ინტერესი“ აბსტრაქტული და ფარდობითი ცნებაა და ეს ინტერესები სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს გაგებული, მაგრამ მათი განცალკევება შესაძლებელია პარტიკულარისტული, პირადი ინტერესებისაგან. უფრო სწორი იქნება განსაზღვრება დავიწყოთ არა იმით, თუ რა არის საერთო ინტერესი, არამედ, თუ რა არ არის. არ უნდა გვქონდეს იმის ილუზიაც, რომ პარტიები ალტრუისტული გაერთიანებებია. აქ უბრალოდ მთავარია ბალანსი კერძო და საზოგადო ინტერესებს შორის და ეს ბალანსი მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია იმ იმპერატივის ეფექტურობაზე, რომლის მიხედვითაც საზოგადო პარტიკულარულზე მაღლა დგას.

3. პარტიები არიან ხალხის წარმომადგენლობის ინსტიტუტები მათი მოთხოვნების

გამოხატვის გზით. ეს ყოველთვის ასე არ იყო და ეს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული განვითარების ბუნებრივი შედეგია, რაზეც ადრე გვქონდა საუბარი. ამრიგად, დღეს პარტიები არის 1) წარმომადგენლობის და 2) გამოხატვის (expression) ინსტრუმენტები. პირველი საკმაოდ ბუნდოვანია და საკამათო, რამდენად წარმოადგენენ თავის ამომრჩევლებს პარტიები და არა საკუთარ წევრებს. გარდა ამისა, წარმომადგენლობისათვის არ არის აუცილებელი პარტიების არსებობა. წინა პლანზე გადმოდის ექსპრესიული ფუნქცია. ისინი არიან კომუნიკაციის საშუალებანი მოქალაქეებსა და მთავრობას შორის. თუ მათ მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება ევალებათ ხელისუფლებისათვის, მაშინ ამას თავად მოქალაქეებიც კარგად შეძლებდნენ რაიმე სხვა ფორმით (მაგ. opinion polls). მთავარი არის ის, რომ პარტიები გადასცემენ მოთხოვნებს მთავრობას გარკვეულ ზენოლასთან ერთად, და გარდა ამისა, ისინი ახდენენ ამ მოთხოვნების ერთ არხში მოქცევას (channel) მათი გარკვეულწილად ფორმირების, კორექტირების, სისტემატიზაციის საშუალებით. ხშირად ეს მოთხოვნები თავად პარტიების მოღვაწეობის შედეგად არის გენერირებული.

## პარტია როგორც მთელი

### არაპარტიულობა ერთპარტიულობის წინააღმდეგ

ჩვენ პარტია როგორც მთელის ერთი ნაწილი განვსაზღვრეთ. ერთპარტიული სისტემის განხილვისას ჩნდება კითხვა: თუ არის მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც თავს მთელთან აიგივებს, შეიძლება კი მას ენოდოს პარტია? მთელი ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე თუნდაც მხოლოდ ერთი ნაწილი (იმიტომ რომ პარტია ყველას ვერ გააერთიანებს), მაგრამ ამ შემთხვევაში მთელი აღარ დგას ნაწილებზე მაღლა. ნაწილი მიისწრაფის მთელთან გაიგივებასთან (მათ შორის მის შიდა სტრუქტურაში). ამრიგად, ერთი პარტიის სისტემის რაციონალიზაცია განსხვავდება მრავალპარტიული სისტემისაგან. თუ ერთი ნაწილი ცდილობს სხვების განადგურებას, მაშინ რატომ არ ყალიბდება საბოლოოდ არა არაპარტიული სისტემა და რჩება ერთი პარტია? აქ ჯერ გამოყოფა არაპარტიული სისტემების (no-party system) 2 ტიპი: 1) უპარტიო (partyless) და 2) ანტიპარტიული (antiparty). პირველი ეს არის ძირითადად პრეპარტიული ქვეყნები (საუდის არაბეთი, იემენი, იორდანია, ავღანეთი, ნეპალი...) და მეორე, ძირითადად სამხედრო რეჟიმები.

პანტინგტონი ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზაციას (არადემოკრატიულს) თვლის პარტიული სისტემის ევოლუციისას ძირითად ფაქტორად. მოდერნიზაციის შედეგად პარტიული სისტემა შემდეგნაირად ვითარდება: უპარტიო (partyless) —> ანტიპარტიული (antiparty) —> ერთპარტიული (uniparty). ეს უკანასკნელი ცვლის ანტიპარტიულობას, იმიტომ, რომ მოდერნიზაციის გარკვეულ დონეზე იგი უფრო ეფექტური და სტაბილურია, ვიდრე პარტიის არარსებობა. ეს ნიშნავს, რომ ყველა ერთპარტიულმა სისტემამ განვითარების ეს გზა გაიარა. როგორც წესი, ერთპარტიულობა ცვლის მულტიპარტიულ სისტემას, მაგრამ პანტინგტონის მოდელი ხსნის უფრო იმას მოდერნიზაციის მოცემულ დონეზე ავტორიტარიზმის ტენდენციები რა სისტემის კენ არის მიმართული: ანტიპარტიულის კენ თუ ერთპარტიულის კენ.

თუ პარტიული პლურალიზმის პირობა იყო საარჩევნო უფლებების გაზრდა, ერთპარტიულობის — საზოგადოების პოლიტიზირება. იქაც კი, სადაც პარტიები არ არსებობდნენ ან შეზღუდული იყვნენ, ნათელი გახდა რომ საზოგადოების, რომელიც სულ უფრო მეტად ითხოვდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვას, უგულვებელყოფა არასასურველი იყო. შეიძლება პარტიული პლურალიზმი აიკრძალოს, მაგრამ ეს არ შეცვლის სოციალური პოლიტიზაციის ობიექტურ რეალობას, საჭიროა მასების მობილიზაცია რეჟიმის სასარგებლოდ. პარტიის გარეშე სისტემა ვერ ახერხებს მოდერნიზებული საზოგადოების ეფექტურ კონტროლს, აუცილებელი ხდება ორგანიზაცია, რომელიც მოახერხებს მასების დაკავშირებას რეჟიმთან. ეს კავშირი (channelment) არ ნიშნავს, რომ ყოველთვის ექსპრესიის პროცესს ემსახურება, ის არადემოკრატიულ, ერთპარტიულ სისტემებში სხვა ფუნქციას ატარებს. იგი კონტროლის, მობილიზაციის, პროპაგანდის მექანიზმია, რომელსაც არაპარტიული (no-party) სისტემა მოკლებულია.

## პარტია-სახელმწიფოს სისტემა (party-state system)

2 შეკითხვას უნდა გაეცეს პასუხი: 1) რამდენად მართებულია ერთპარტიას ეწოდოს პარტია და 2) რამდენად შესაძლებელია ერთპარტიულ სახელმწიფოში განვიხილოთ პარტიული სისტემა.

პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით, საჭიროა გავარჩიოთ პარტია საპირისპირო ნაწილების გარეშე (party without counter party) პარტიისაგან, რომელიც თავად არის ნაწილი (party as party). რეალურად, პარტიულ პლურალიზმს და ერთ პარტიას შორის განსხვავება ეხება უფრო სისტემას, ვიდრე პარტიას, რომელიც ინარჩუნებს იგივე მექანიზმს და სტრუქტურას, რაც პლურალისტურ სისტემაში, ანადგურებს სხვა პარტიებს, მაგრამ თავად რჩება პარტიის მსგავს ორგანიზაციულ იარაღად. რაც შეეხება სისტემას, აქ ცხადია, რომ ეს სისტემა ვერ იქნება პარტიული სისტემა, ერთ პარტიას არ შეუძლია ამის წარმოქმნა. თუ ვივარაუდებთ, რომ ეს არის ერთი პარტიის სისტემა, მაშინ შემდეგი სირთულეებია: სისტემის კონცეფცია უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ ორ მოთხოვნას: 1) მას უნდა გააჩნდეს ატრიბუტები, რომელიც არ ეკუთვნის სისტემის შემადგენელ არც ერთ ცალკე აღებულ კომპონენტს; 2) ის უნდა შედგებოდეს მისი კომპონენტების სქემატიზირებადი ურთიერთქმედებისგან, რომელთაც გარკვეული ჩარჩო აქვთ; ერთპარტიული სისტემა კი ვერ პასუხობს პირველ მოთხოვნას, რადგან ეს და მისი ატრიბუტები ემთხვევა პარტიას და მის ატრიბუტებს, ხოლო მეორეს იმიტომ, რომ ურთიერთქმედება ხდება არა სისტემის ჩარჩოში, არამედ მის გარეთ, რადგან სისტემის და კომპონენტის საზღვარი ერთი და იგივეა. ასე რომ, არ არის სწორი დავუშვათ სისტემა პარტიაზე მაღლა, მაშინ ის უნდა ვეძებოთ თავად პარტიაში, პარტია როგორც სისტემა. ამ შემთხვევაშიც არ ვიქნებით კორექტულები. შეცდომა შემდეგშია: ჩვენ სისტემის პარტიაში დაშვებისას ვცვლით ანალიზის დონეს, გადავდივართ რა სისტემის ანალიზიდან პარტიის ანალიზზე. სად არის მაშინ სისტემა? თუ ერთი პარტია არის უკვე არა ნაწილი, არამედ მთელი, ისევე როგორც სახელმწიფო, მაშინ ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ორი მთელი ვერ იარსებებს თუ ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა. ამრიგად, სწორია ტერმინი პარტია-სახელმწიფოს სისტემა (party-state system), იქნება ეს სახელმწიფო, რომელიც ცდილობს პარტიის აპსორბირებას, თუ პირიქით. უნდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ყოველთვის სადაც ერთი პარტიაა არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ პარტია-სახელმწიფოს სისტემაზე. უბრალოდ, ამ შემთხვევაში ჩვენ ვაქვს ან ამ ტიპის სისტემა, ან საერთოდ არ არის რაიმე მნიშვნელოვანი სისტემა. ამ სისტემის მთავარი ფუნქციონალური მახასიათებელია სუბსისტემური ავტონომიისათვის ხელის შეშლა, რაც მას პარტიების გარეშე სისტემისგან გამოარჩევს. შეიძლება ერთგვარი ტერმინოლოგიური უზუსტობა იყოს, როცა აქ ვიყენებთ სიტყვა “პარტიას”, რომელიც თავისთავად არ შეიძლება იყოს მთელი, რადგან ხელოდ ნაწილია, მაგრამ სხვა ტერმინის არარსებობის პირობებში ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ ამ ტერმინის გამოყენება მონოპოლიურ პარტიასთან მიმართებაში, თუ მკაფიოდ განვასხვავებთ სისტემის თავისებურებებს. ერთპარტიული სისტემა არ არსებობს. პარტიული სისტემები მხოლოდ პლურალისტურ რეჟიმებს ახასიათებთ. უნიპარტიიზმის შემთხვევაში სისტემა ერთია — პარტია-სახელმწიფო.

## პარტია შიგნიდან

### ფრაქციები, დაჯგუფებები და ტენდენციები

პარტია თავად არის მინიატურული პოლიტიკური სისტემა ხელისუფლების სტრუქტურით, წარმომადგენლობითი პროცესით, ელექტორალური სისტემით და სხვა. პარტიების, როგორც სისტემის შესწავლისას ძირითადად 2 მიდგომა გამოიყოფა: 1) შიდაპარტიული დემოკრატიის შესწავლა და 2) ორგანიზაციული მიდგომა. პირველი მიდგომა სათავეს იღებს მიხელსის ნაშრომიდან “ოლიგარქიის რეინის კანონი”. ამ მიდგომაში ძირითადი პრობლემა “დემოკრატიის” შეფასების მეთოდებშია. მეორე მიდგომა იწყება დიუვერულებას. ორგანიზაციული სტრუქტურების შესწავლა გარკვეულიად შეეხება შიდაპარტიული დემოკრატიის საკითხებაც, რამდენადაც დემოკრატიული პროცესი მოითხოვს გარკვეულ კონკრეტულ სტრუქტურებს, თუმცა

ორგანიზაციული მიდგომა მიზნად არ ისახავს გაარკვიოს, თუ რამდენად დემოკრატიული ან არადემოკრატიულია ესა თუ ის სტრუქტურები. პარტია, თვით ტოტალიტარულიც კი, არ არის მონოლითი. მასში არის ფორმალური ან არაფორმალური სუბერთეულები (sub-units), რომელებიც პარტიის სისტემაში ისეთივე დონეზე უნდა განვიხილოთ, როგორც პარტიულ სისტემაში პარტიები. გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს იმ ტერმინის განსაზღვრა, რითაც ამ სუბ-ერთეულებს აღვნიშნავთ. ტერმინი “დაჯგუფების” (faction) გამოყენება აქ, ალბათ, არ იქნებოდა კორექტული, რამდენადაც ამ ტერმინს აქვს შეფასებითი დატვირთვა. გარდა ამისა, დაჯგუფებები თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით ჯერ კიდევ არსებობენ მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში და იგივე ტერმინის გამოყენება პარტიული სუბ-ერთეულების კლასის აღსანიშნავად გაუგებრობას გამოიწვევდა. საჭიროა სხვა ტერმინი — ფრაქცია, რასაც არ აქვს ისეთი შეფასებითი დატვირთვა, როგორც დაჯგუფებას (ფრაქცია შეიძლება იყოს დაჯგუფება, შეიძლება არა). შიდაპარტიული სტრუქტურის კვლევა არ იქნება სრული თუ არ შემოვიტანეთ ტენდენციის ცნება. რიჩარდ როუზის აზრით, ფრაქციებსა და ტენდენციებს შორის განსხვავება მათ ორგანიზაციულ დონეებშია. ფრაქცია არის პირველ რიგში კონკრეტული ჯგუფი, ტენდენცია კი სტაბილური ეტიტუდია. სარტორი: ორგანიზაციული მომენტი არ არის მთავარი განმასხვავებელი. შეიძლება ფრაქცია არ იყოს კონკრეტული ჯგუფი, არსებობს ინდივიდუალური ფრაქციონალიზმი, ხოლო ტენდენციამ შექმნას გარკვეული ორგანიზებული ერთობა რაღაც საკითხთა გარშემო, მაგრამ ეს არ იყოს ფრაქცია. ტენდენცია აღნიშნავს უფრო ფართო, არაერთგვაროვან სუბ-ერთეულს (მაგ, მემარცხენე და მემარჯვენე ტენდენციები), ხოლო ფრაქცია უფრო ერთგვაროვან, მჭიდროდ შეკრულ სუბპერთეულს.

ფრაქციები სხვადასხვა სახის არიან და სხვადასხვა ფრაქციები სხვადასხვანაირ ზეგავლენას ახდენენ 1) პარტიის ერთიანობა-ფრაგმებტაციაზე და 2) შიდაპარტიულ ურთიერთობებსა და დინამიკაზე. შეიძლება ითქვას, რომ ფრაქციების ბუნება განსაზღვრავს პარტიის ბუნებას. მსგავსი იდეოლოგიის და სტრუქტურის ძრონე პარტიები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ, თუ მათი ფრაქციების ბუნება განსხვავებულია.

### **1) ორგანიზაციონალური, 2) მოტივაციური, 3) იდეოლოგიური და 4) მემარცხენე-მემარჯვენე.**

**1. ორგანიზაციული მიმართულება.** გამოდის პირველ პლანზე, რამდენადაც პარტიას და დაჯგუფებას შორის განსხვავება მნიშვნელოვანილად მათი ორგანიზაციის დონეებშია გამოხატული, თუმცა დღეს ჩვენ ვიცით, რომ ზოგ შემთხვევაში სუბერთეულები შეიძლება უფრო მეტად იქნენ ორგანიზებული, ვიდრე მთლიანად პარტია. სუბერთეულების ავტონომიურობის ხარისხი პარტიასთან მიმართებაში არის ინდიკატორი, თუ ანალიზის რომელ დონეზე იქნებოდა მოცემულ შემთხვევაში უფრო მართებული — პარტიულ თუ სუბპარტიულ დონეზე. ორგანიზაციონალური მიმართულება ასევე მიგვითითებს შიდაპარტიული ფრაქციონალიზაციის ხარისხზე. ამ მიმართულების გამოყენებისას არ უნდა გამოგვრჩეს შემდეგი ფენომენის გათვალისწინება: ფრაქციების ორგანიზებულობა „გადამდებია“, თუ გარკვეული ფრაქციები მეტად ორგანიზებულინი ხდებიან, დანარჩენები მიჰყვებიან მათ მაგალითს, რათა ეფექტურად გაუწიონ მათ მეტოქეობა. ამრიგად, ორგანიზაციონალური ცვლადი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ფრაქციები დარჩენენ იგივე სხვა პარამეტრების მიხედვით.

**2. მოტივაციური მიმართულება.** უფრო პირდაპირ შეეხება სხვადასხვა ტიპის სუბერთეულების განსხვავებებს. ჰიუმი ანსხვავებდა ორი ტიპის დაჯგუფებებს: ინტერესის და პრინციპის საფუძველზე. ინტერესით მოტივირებულ დაჯგუფებებში შეიძლება 2 სახეობა გამოიყოს: 1) ძალაუფლების დაჯგუფებები (power factions, ძალაუფლება—მიზანი), 2) „ნადავლის“ დაჯგუფებები (spoils factions, უფრო გარკვეულ სარგებელზე ორიენტირებული, ვიდრე ძალაუფლებაზე). რაც შეეხება ჰიუმის პრინციპზე დაფუძნებულ ჯგუფებს, დღევანდელი „პრინციპის ფრაქციებიც“ შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: იდეოლოგიური ჯგუფები და იდეის ჯგუფები (idea groups), ანუ ჯგუფები, რომლის იდეები, შეხედულებები არ იზიარებენ იდეოლოგიური ჯგუფების სხვა მაჩვენებლებს. ეს დაყოფა მნიშვნელოვანია ევროპულ ლიტერატურაში არსებულ

საკითხთან — იდეოლოგიურ პარტიებთან და შეხედულების პარტიებთან (opinion party) მიმართებაში. ამ მიმართულების გამოყენებისას სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინტერესის საფუძველზე გაერთიანებული ჯგუფები ხშირად ინილებებიან ეფექტურობის, იდეოლოგიის და სხვა საფაროს უკან, რაც ლეგიტიმაციისკენ სწრაფვით აიხსნება. რომ არ შევიდეთ შეცდომაში, აქ უნდა ჩავრთოთ გარკვეულწილად ორგანიზაციონალური მიმართულება და გავარკვიოთ რამდენად გააჩნია ამა თუ იმ ფრაქციას კლიენტელისტური ქსელი და რამდენად არის მისი ფუნქციონირება კლიენტერული ტიპის. თუმცა, აქაც არის სირთულე — კლიენტელისტული სტრუქტურის არსებობა-არარსებობა მნიშვნელოვანილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ძალაუფლებას ფლობს ეს ჯგუფი. მოტივაციური მიმართულების გამოყენება უნდა შეიცავდეს მთელ რიგ ინდიკატორებს, პერიოდულ დაკვირვებებს და რეპუტაციონალურ მეთოდს.

**3. იდეოლოგიური მიმართულება.** ეს მიმართულება გარკვეულწილად შეხებაშია მოტივაციურ მიმართულებასთან, რამდენადაც იდეოლოგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივაციური ძალა, მაგრამ მოტივაციები იდეოლოგიით არ შემოიფარგლება, ეს სხვა განზომილებაა. მოტივაციური კონტინუიმი მდებარეობს წმინდა დაუინტერესებლობიდან წმინდა ეგოიზმს შორის, იდეოლოგიური კონტინუიმი მდებარეობს იდეოლოგიურ ფანატიზმს და პრაგმატიზმს შორის. ეს ორი მიმართულება ამრიგად შესაძლებელია დამოუკიდებლად იცვლებოდეს. მათი გამოყოფა ერთმანეთისაგან დაგვეხმარება იმ შემთხვევების შესწავლისას, როდესაც პირადი ინტერესებით მოტივირებული დაჯგუფება იდეოლოგიური კამუფლაჟის მიღმა იმაღება. კიდევ ერთი მნიშვნელობა ამ მიმართულების არის ის, რომ იგი მიუთითებს კულტურულ ფაქტორზე, პოლიტიკის საერთო დაძაბულობის დონეზე მოცემულ კულტურულ კონტექსტში.

**4. მემარცხენე-მემარჯვენე მიმართულება.** ეს ყველაზე ნაკლებად სანდო კატეგორიებია, თუმცა მათი გამორიცხვა არ იქნებოდა მართებული, რამდენადაც, როგორც ფართო საზოგადოება, ასევე ელიტები ხშირად ამ კონტექსტში აღიქვამენ პოლიტიკას. ასევე ეს მიმართულება კარგად ართმევს თავს ტენდენციების, დამოუკიდებელი პოზიციებისა და ატომიზირებული კონფიგურაციების იდენტიფიკაციას. სირთულე აქ ისაა, რომ ძნელია მრავალმხრივი მიმართულებების ამ სქემით დახასიათება, ამიტომ ეს სქემა უნდა გამოყენებულ იქნეს მას შემდეგ, რაც გამოყენებული იქნება მოტივაციური და იდეოლოგიური მიმართულებები, რის შემდეგაც სუფთა სახით ეს კატეგორიაც დამოუკიდებელი ცვლადი იქნება. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ეს მნიშვნელოვანილად სუბიექტური კატეგორია და როდესაც რომელიმე ჯგუფზე ვამბობთ, რომ ეს მემარცხენე ან მემარჯვენე ჯგუფია, ჩვენ ვამბობთ, რომ ის ასე აღიქმება ზოგადად.

## პარტიის პრობლემა “ახალ დემოკრატებში”

რაც უფრო ნაკლებად არის განვითარებული ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფების სისტემა, მით უფრო სუსტია (ან არა ტრადიციულ-დასავლურია) მობილიზაციის მექანიზმები და შესაბამისად პოლიტიკური პარტიის ინსტიტუტი (და მთლიანობაში პარტიული სისტემა აქედან გამომდინარე), მით უფრო სავარაუდოა (სხვა პირობების იგივეობის შემთხვევაში) აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირება და პოლიტიკური პროცესების არაფორმალური რეგულირება.

საზოგადოების მრავალგანზომილებიანი და ძლიერი (ხშირი) ფრაგმენტაცია, და შესაბამისად, შეუძლებლობა საზოგადოებაში ფესვგამდგარი (საზოგადოებრივი ღრმა და მტკიცე საყრდენის მქონე) პოლიტიკურ ორგანიზაციათა ფორმირებისა, წარმოგვიდგენს კონსტიტუციური ლიბერალური დემოკრატიებისაგან სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ ინსტიტუტთა დიზაინს. ეს ინსტიტუტები, ჩვეულებრივ, არ ახორციელებენ წარმომადგენლობისა და ინტერესთა გამშუალებელ (ტრანსმისიის არხის) ფუნქციას. თავისთავად გამშუალებელი არხის ვაკუუმის გაჩენა ხელს უწყობს პოპულისტურ და პლებისციისტურ მმართველობას, რომელიც ტრადიციული დასავლური ინსტიტუციონალური დემოკრატიის ნაცვლად უახლოვდება ავტორიტარული პრეზიდენტების (მმართველების) “სახალხო დემოკრატიებს”.

შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა.

I — აღმასრულებელი ხელისუფლება აკონტროლებს ნაციონალურ პარტიულ სისტემას კარგად ორგანიზებული მმართველი (საპრეზიდენტო) პარტიის მეშვეობით. ამავე დროს, ასეთი პარტია მასთან დაკავშირებული დაინტერესებული ჯგუფების მეშვეობით ახდენს ნაციონალური მასშტაბით ასოციაციათა (სხვადასხვა ტიპის ვიწრო ან შედარებით ფართო ინტერესთა ჯგუფების) კოლონიზირებას და უწევს მათ მფარველობას. ამ შემთხვევაში შეიძლება არ შეიქმნას ვაკუუმი (თუმცა უმეტესწილად ეს ასოციაციები საზოგადოების უაღრესად მცირე ჯგუფების ინტერესებს გამოხატავენ), მაგრამ სახელმწიფო ახდენს თავისისა (სახელმწიფოს) და საზოგადოებას შორის არსებული სივრცის ოკუპირებას (ასეთ მაგალითად, ჩვეულებრივ მოყავთ თუჯმანის ხორვატია. შდრ. საქართველოს ვითარება)

II — ამ შორის სივრცეში არაფორმალურად შეაღწევენ კლიენტელისტური პარტიები და ასოციაციები. ფორმალური ინსტიტუციონალური წესებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს სისუსტე აქ კომპენსირდება შიდაელიტური ქსელებით. ამ ვითარებაში ლიბერალურ-კონსტიტუციური ფორმალური ინსტიტუტები განიდევნებიან ამ შორისი სივრციდან და სტაბილიზაცია და გადაწყვეტილებათა მიღების პოლიტიკურ პროცედურათა მოქნილობა უზრუნველყოფილი ხდება პოლიტიკურ სისტემაში ინტერესთა არაფორმალური ჩართვის (წარმოდგენის) მეშვეობით. ამგვარი არაფორმალური ინსტიტუტები (ან: ინსტიტუციონალური წესები) პრაქტიკულად აუქმებენ დემოკრატიული წარმომადგენლობის ნორმებსა და ინსტიტუტებს, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულებების შესაბამის წესრიგს.

სავარაუდოა, რომ ამგვარი სისტემები სტაბილურობას შეინარჩუნებენ მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში, ხოლო გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით მოსალოდნელია თუნდაც არსებული სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტების, კერძოდ, გამშუალებელი ინსტიტუტების — პარტიების (ტრანსმისიის არხი) კიდევ უფრო დასუსტება, ან სრული დეგრადაცია.

### **სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა:**

1. Richard Hofferbert, Introduction: Party Structure and Party Performance in New and Old Democracies \_ “Parties and Democracy”. Ed. By Richard Hofferbert, Blackwell Publishes, Oxford, 1998. pp. 1-9.
2. David M. Olson, Party Formation and Party System Consolidation in the New Democracies of Central Europe \_ “Parties and Democracy”. Ed. By Richard Hofferbert, Blackwell Publishes, Oxford, 1998. pp. 10-42.
3. Gabor Toka, Party Appeals and Voter Loyalty in New Democracies \_ “Parties and Democracy”. Ed. By Richard Hofferbert, Blackwell Publishes, Oxford, 1998. pp. 167-188.
4. Dalton, Russell J. and Martin Wattenberg, Ed, Parties without Partisans. New York, Oxford University Press, 2001, Ch.1.
5. Duverger, Maurice, Political parties. Their organization and Activity in the Modern State, London, Methuen, 1964. ch.1-2
6. Sartory, Giovanni, Parties and Party System: A Framework for Analysis, vol.1., CUP (Chapt.1-4).

### **დამატებითი საკითხავი ლიტერატურა:**

1. Kenneth Janda and Tyler Colman. Effects of Party Organization on Performance during the “Golden Age” of Parties \_ “Parties and Democracy”. Ed. By Richard Hofferbert, Blackwell Publishes, Oxford, 1998. pp. 189-210.
2. Rachel Gibson and Robert Harmel \_ Party Families and Democratic Performance: Extraparliamentary versus Parliamentary Group Power \_ “Parties and Democracy”. Ed. By Richard Hofferbert, Blackwell Publishes, Oxford, 1998. pp. 211-228.

3. Russell J. Dalton and Martin P. Wattenberg, Unthinkable Democracy: Political Change in Advanced Industrial Democracies – “Parties without Partisans. Political Change in Advanced Industrial Democracies”. Ed. by Russell J. Dalton and Martin P. Wattenberg, Oxford University Press, 2002, pp.3-18.
4. Susan E. Scarro, Parties without members? Party Organization in a Changing Electoral Environment. – “Parties without Partisans. Political Change in Advanced Industrial Democracies”. Ed. by Russell J. Dalton and Martin P. Wattenberg, Oxford University Press, 2002, pp. 79-101.
5. Russell J. Dalton and Martin P. Wattenberg, Political Change and the Democratic Process, – “Parties without Partisans. Political Change in Advanced Industrial Democracies”. Ed. by Russell J. Dalton and Martin P. Wattenberg, Oxford University Press, 2002, pp. 261-285.
6. Lijphart, Arend., Electoral Systems and Party Systems: A Study of Twenty-Seven Democracies, 1945-1990., Oxford, Oxford University Press, 1994,
7. Schmitt, Hermann and Suren Holmberg., “Political Parties in Decline?” in: Citizens and the State, eds. H-D. Klingemann and D.Fuchs, New York, Oxford University Press, 1995, pp.95-133.
8. Arend Lijphart, Patterns of Democracy: Government Forms and Performance in 36 Countries, 1999, Ch.5, 8.
9. Scott Mainwaring, “Party systems in the Third Wave, in: Larry Diamond and Marc Plattner, eds. The Global Divergence of Democracy, Johns Hopkins, 2001.

# III კვირა

## სალენდან სახელმიწოდებელი:

### სახელმიწოდებელი, მისი ინსტიტუციონალიზაცია და წარმომადგენლობა

#### სახელმწიფო

1950-იან და 60-იან წლებში საზოგადოება-ცენტრირებული ახსნა პოლიტიკისა და მთავრობის აქტივობისა იყო განსაკუთრებით დამახასიათებელი პლურალისტული და სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მიდგომისა (პერსპექტივისა), რაც დომინირებდა იმნდოროინდელ პოლიტიკურ მეცნიერებასა და სოციოლოგიაში, განსაკუთრებით აშშ-ში (რამდენიმე გამონაკლისი იყო ს. ჰანტიგტონი, რ. ბენდიქსი, ს. ეიზენშტადტი და სხვა). ამ მიდგომაში სახელმწიფო განიხილებოდა, როგორც ძველმოდური კონცეპტი, დაკავშირებული ხისჭ და მარტივ ლეგალურ-ფორმალურ კვლევასთან ნაციონალური განსაკუთრებული კონსტიტუციური პრინციპებისა (მიდგომის ძირითადი პრინციპი იხ. დ. ისტონთან, გ. ალმონდთან, ჯ. ს. კოლემანთან და სხვა). "მთავრობა" განიხილებოდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც არენა, რომელშიც ეკონომიკური ინტერესთა ჯგუფები ან ნორმატიული სოციალური მოძრაობები ურთიერთქმედებდნენ და უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, რათა შეექმნათ ჩარჩო (შესაძლებლობა) საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებათა წარმოებისათვის (შემუშავებისა და მიღებისათვის). კვლევა კონცენტრირდებოდა სოციეტალურ "შენატანებზე" (input) მთავრობაში და "შედეგებისა" დისტრიბუციულ ეფექტებზე.

60-იანი წლების ბოლოდან თავად ამ მიმართულებათა შიგნით, ისევე როგორც სხვა მიმდინარეობებში (მაგ, ნეომარქიზმი) ხდება მიბრუნება სახელმწიფოსკენ, როგორც კვლევის ობიექტის, პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი აქტორისა და ინსტიტუტისაკენ. წმინდა მეცნიერულის გარდა, პრაქტიკული განვითარების პროცესებმაც (კეინსიანიზმი ხდება წამყვანი ეკონომიკური პოლიტიკა, ახალი სახელმწიფოების ფორმირება დეკოლონიზაციის შედეგად და სხვა) შეუწყვეს ხელი სახელმწიფოსადმი ინტერესის გაღვივებას, მის კვლევას და სახელმწიფო-ცენტრირებული ახსნის ფართოდ დამკვიდრებას სოციალურ მეცნიერებებში (არა მხოლოდ ტოტალიტარული სახელმწიფოს შემთხვევაში და ახლად ინდუსტიალიზებადი ქვეყნების შესწავლისას, რაც თავისთავად ბუნებრივია, არამედ ისეთი ქვეყნების პოლიტიკის შესწავლისასაც, როგორიცაა აშშ და დიდი ბრიტანეთი).

თანამედროვე სახელმწიფოს (პოლიტიკური რეჟიმების) ინსტიტუციური ევოლუცია (მათ შორის კონსტიტუციურ-დემოკრატიულისა) ასახავდა ევროპაში ტერიტორიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ახალი ტიპის (საზოგადოებრივი) ერთობების ფორმირების პროცესს. ამ პროცესისათვის დამახასიათებელი იყო ძლიერი ფოკუსირება ტერიტორიულ საზღვრებზე, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ახლებური ურთიერთობების განვითარება (საბოლოოდ: სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება), და პარალელური, თანამდევი ტრანსფორმაცია პოლიტიკური პროცესებისა და თანამედროვე საბაზო ეკონომიკების ჩამოყალიბება. ეს ინსტიტუციური გარდაექმნები ხორციელდებოდნენ პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთქმედების პირობებში. ამგვარი კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი იყო რესურსების მობილიზაცია სამხედრო მიზნებისათვის, რომელიც ამზადებდა, აგრეთვე, ნიადაგს ევროპის საზღვრებს გარეთ ექსპანსიისათვის.

თანამედროვეობის პროგრამა ეფუძნებოდა უკვე არსებულ ინტელექტუალურ ტრადიციას და საზოგადოებრივ გარდაქმნათა გამოცდილებას — ანტიკური პოლიტიკური თეორიიდან რესპუბლიკურ წარმოდგენებამდე (ალორძინებისა და რეფორმაციის ეპოქისა), რომელიც თავის თავში მოიცავდა რეფორმაციის პერიოდში ჩამოყალიბებულ ხელშეკრულებით კონცეფციებს. მეორე უმნიშვნელოვანესი კონპონენტი ამ იდეოლოგიური პროგრამისა მოდის იდეიდან მმართველთა პასუხისმგებლობისა (ანგარიშვალდებულებისა) უზენაესი კანონის წინაშე — ზეციური მანდატი. მსგავსი წესი ლეგიტიმაციისა დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა ძირითადი ცივილიზაციისათვის, მათ შორის ევროპულისათვისაც. კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო აქცენტი ინდივიდის ავტონომიურობაზე და ამასთან დაკავშირებული ლეგიტიმაცია

კერძო ინტერესებისა. ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია უტოპიური კომპონენტი (ესხატოლოგიური) — რაც გულისხმობდა იდეალური საზოგადოებრივი მოწყობის (წესრიგის) ძიებას, რაც ასევე ძირითად ცივილიზაციათა ტრადიციებში პოულობდა საწყის საფუძვლებს.

და ბოლოს, უმნიშვნელოვანეს კონპონენტად იქცა (ჩამოყალიბდა) ტრადიცია ნარმომადგენლობისა და წარმომადგენლობის ინსტიტუტები, რომლებიც ყალიბდება უკვე შუა საუკუნეების ევროპაში. ამგვარი ინსტიტუტები სათავეს იღებენ სხვადასხვაგვარ საკრებულოებში, პარლამენტებში და წოდებრივ კრებებში, რომელთა დიდი ნაწილიც ეყრდნობოდა თავის მხრივ ტომთა საბჭოების რჩევებს.

## კონსტიტუციური სახელმწიფო და ინსტიტუტები

არალიბერალურ დემოკრატიებში კონსტიტუციის სამართლებრივი ნორმების ლია დარღვევა და მუდმივი გადახრა (გადაქაჩვა) პრეროგატივებისა (ძალაუფლების რესურსებისა) საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებიდან აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ შედეგია არაფორმალური ინსტიტუტების დომინირებისა, მათი როლის ზრდისა ფორმალურ ინსტიტუტებთან შედარებით. თავად ამ როლის ზრდა კი არის არა პირდაპირი შედეგი ავტოკრატიული მემკვიდრეობისა (როგორც ეს ხშირად წარმოუდგენიათ), არამედ აქტორთა რაციონალური სტრატეგიებისა: იგულისხმება ისეთი პრაქტიკები, როგორიცაა პერსონალიზმი, კლიენტელიზმი, საყოველთაო კორუფცია, არაკონსტიტუციურ ჩარჩოებში შექმნილი აქტორთა კარტელები და სხვა. ამგვარი ვითარება წარმოიქმნება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისების დროს, როდესაც აქტორები იძულებული არიან იმოქმედონ მაღალი (დონის) ეკონომიკური და პოლიტიკური განუსაზღვრელობის პირობებში. განუსაზღვრელობის პირობებში არა-ფორმალური წესები შესაძლებლობას აძლევს აქტორებს დაწიონ (დაადაბლონ) არა-პროგნოზირებადი აქციების ხარჯები. როდესაც არ არის ნათელი, რამდენად შედეგიანია (ეფექტურია) ახალი დემოკრატიული და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტები, განსაკუთრებით ძლიერდება (ძლიერი ხდება) სტიმულები არაფორმალური წესების შექმნისათვის, ხოლო დანახარჯები მოქმედებზე (აქციებზე), რომელნიც არღვევენ (ანგრევენ) სამართლებრივ და საკონსტიტუციო სახელმწიფოს ნორმებს, — განსაკუთრებით დაბალი.

ამგვარი წესები შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც ფორმალური ინსტიტუტების ჩარჩოების გარეთ (“პარალელური ინსტიტუტები”), ასევე მათ შიგნით. არაფორმალური ქმედებები ფორმალური ინსტიტუტების ჩარჩოებში, შესაძლებლობას აძლევს აქტორებს მოახდინონ კომბინირება არაფორმალური წესრიგის (გარე აქტორთა გამოთიშვა, მოლოდინთა გარანტირება, მაღალი მოქნილობა გადაწყვეტილებათა მიღებისას) და ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტების (დემოკრატიული ლეგიტიმურობა) სარგებლებისა. საბოლოო ჯამში, დაძაბულობამ ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის შეიძლება მიაღწიოს ისეთ დონეს, რომ წარმოიქმნება ახალი ფორმალური წესები, რომლებიც უფრო მეტად შეესატყვისებიან არსებულ ფორმალურ პრაქტიკებს და პასუხობენ მნიშვნელოვანი აქტორების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს (მაგალითად, ცალკეული ფირმებისთვის საგადასახადო შეღავათების დაკანონება).

ფორმალური და არაფორმალური პოლიტიკური (სოციალური) ინსტიტუტები შეიძლება გაიმიჯნოს შემდეგნაირად. ფორმალური ინსტიტუტები – ეს არის კონსტიტუციები, კანონები, ადმინისტრაციული ნორმები და სხვა ამგვარი (დაწერილი-დადგენილი). ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკური სისტემის ფორმალურ სტრუქტურებს და ლეგიტიმური ძალაუფლების მექანიზმებს. სახელმწიფო ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ფორმალური წესების დაცვას დარწმუნების (იდეალში), მუქარისა (მოლოდინის) და სანქციების (დასჯის) მეშვეობით. არაფორმალურ სოციალურ (პოლიტიკურ) ინსტიტუტებს მიეკუთვნება “დაუწერელი კანონები”, ტრადიციები, ჩვევები, რელიგიური რწმენები (როგორც წესები), ღირებულებრივი სისტემები (მოწესრიგებული – პოზიტიური და ნეგატიური ურთიერთმიმართებებითურთ) და სხვა წესები (ნორმებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული) გრძელვადიანი (მაღალი სტაბილობის მქონე) ურთიერთობებისა. ფორმალური ინსტიტუტები იქმნება, იცვლება და ინერგება გარედან ძალისხმევით, ხოლო არაფორმალური ინსტიტუტები წარმოიქმნება (წამოიზრდება) სოციალური ურთიერთქმედების თვითორგანიზებადი დინამიკის საფუძველზე. ფორმალურ ინსტიტუტებს ქმნის

სახელმწიფო, არაფორმალური ინსტიტუტები კი გენერირდება სოციალურად. ფორმალური ინსტიტუტები ატარებენ (მიისწრაფიან მაინც) საყოველთაო უნივერსალისტურ ხასიათს, არაფორმალურები კი — პარტიკულარისტულს (მიისწარფიან მაინც). გადაწყვეტილებათა მიღების ფორმალური პროცესები მიმდინარეობს ბიუროკრატიზებულ ინსტანციებში და დადგენილი პროცედურების მიხედვით. არაფორმალური ინსტიტუტები და პროცესები გადაინაცვლებენ ამ ინსტანციებიდან პარალელურ სტრუქტურებში და მიმდინარეობენ მონაწილე აქტორთა შორის “მოლაპარაკებათა სისტემის (წესრიგის)” სახით.

საკვანძო (ძირეული) განსხვავება ლიბერალურ (ეფექტურად ფუნქციონირებად) და არალიბერალურ (“დეფექტურ”) დემოკრატიებს შორის დაკავშირებულია არა მათში ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების არსებობასთან (ისინი არსებობენ ორივე ტიპის სახელმწიფოებში — საზოგადოებებში), არამედ იმასთან, თუ როგორ (რა წესით და ფორმით) შეეზრდებიან არაფორმალური ინსტიტუტები ფორმალურებს.

ლიბერალურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ დემოკრატიულ სახელმწიფოში ორივე ფორმა ინსტიტუტებისა (ფორმალური და არაფორმალური) ავსებს ერთმანეთს იმ აზრით, რომ ფორმალური ინსტიტუტები ეყრდნობა არაფორმალური ინსტიტუტების დამატებით მხარდაჭერას. ეს ანიჭებს ფორმალურ ინსტიტუტებს მოქნილობას და ელასტიურობას, რაც აძლევს მათ შესაძლებლობას მიესადაგონ საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესის მოთხოვნებს. წესების ინტერპრეტირებისა და მოლაპარაკებათა პროცესის ამგვარი დეფორმალიზაცია არ აძლევს დემოკრატიის (დემოკრატიული სახელმწიფოს) ლიბერალურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ შენარსს ვიდრე მხოლოდ კომპეტენტური და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფორმით (წესით) ლეგიტიმირებული ორგანოები იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებებს.

არალიბერალურ (არასამართლებრივ-დეფექტურ) დემოკრატიაში (დემოკრატიულ სახელმწიფოში) არაფორმალური წესები და პატერნები (ნიმუშები) არღვევენ (ანგრევენ) და ზღუდავენ ფორმალური, დემოკრატიულად (და სამართლებრივად) ლეგიტიმირებული ფორმალური ინსტიტუტების ფუნქციონირების წესრიგს. ისინი არღვევენ ფორმალურ ინსტიტუტთა ფუნქციონალურ კოდებს, ამასინჯებენ და განაგდებენ (განთესავენ) მათ, როგორც მნიშვნელობის მქონე (მაღალი ან უბრალოდ რელევანტურობის მქონე) გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებსა და პრაქტიკებს. არაფორმალური ინსტიტუტები შეაღწევენ (შეიჭრებიან) ფორმალურ ინსტიტუტთა გარსში და ავსებენ მას თავისი ფუნქციური ლოგიკის შესაბამისად.

ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებათა მიღების დონეზე დემოკრატია (დემოკრატიული სახელმწიფო) ფუნქციონირებს არაფორმალური და არალეგიტიმირებული ინსტიტუტებისა და წესების შესაბამისად, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივი (დემოკრატიული) სახელმწიფოს პრინციპებთან. ამგვარი შეცვლა (ჩანაცვლება) მოქმედების ფორმალური წესებისა არაფორმალურით შეიძლება განხორცილედეს როგორც ზევიდან, ისე ქვევიდან.

პრაქტიკაში არაფორმალური შეზღუდვები (წესები) ზემოდან ხშირად “შეერევან” იმ არაფორმალურ შეზღუდვებს (წესებს), რომლებიც ნარმოიქმნებიან ქვემოდან და პირიქით. ეს არის ორმხრივი პროცესი, როდესაც ერთი მიმართულება მეორეს “კვებავს”, ახდენს მის სტიმულირებას. ამგვარი “შერევა-ათქვევის” შედეგი შეიძლება იყოს იმგვარი სახელმწიფო (დეფექტური დემოკრატია), რომელშიც პოლიტიკური ელიტის სეგმენტები თანაარსებობენ საზოგადოების სეგმენტებთან არაფორმალური, მაგრამ სტაბილური (შეიძლება კონსოლიდირებული) სიმბოლურ-კლიენტულისტური კავშირების მეშვეობით. ამ ვითარებაში, კონსტიტუციურად განსაზღვრული წარმომადგენლობის მექანიზმები ზიანდება და ნაწილობრივ ან დროებით კარგავს ძალას (თუმცა კი ფორმალურად არსებობენ). ამ შემთხვევაში, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების დეფორმალიზაცია (წა)ართმევს დემოსს მის სუვერენიტეტს, რომელიც გარანტირებულია წარმომადგენლობით.

## მართველობის სისტემის კონსტიტუციური ინსტიტუტები

არალიბერალური კავშირშია არაფორმალურთან. მედისონისა და ჰამილტონის შეხედულებების საწინააღმდეგოდ, თანამედროვე სამყაროში დემოკრატიის თვითრღვევა (თვითგანადგურება) დაკავშირებულია არა უპირატესად პარლამენტთან, არამედ მის (პარლამენტის) ძალაუფლებისგან ჩამოშორებასთან პოპულისტური და კვაზიპლების-ცისტური ლეგიტიმირებული პრეზიდენტების მიერ. მმართველობის საპრეზიდენტო სისტემებს, არაკონსოლიდირებულ დემოკრატიიებში (დემოკრატიულ სახელმწიფოებში) აქვთ ტენდენცია კონფლიქტის პროვოკირებისაკენ პარლამენტსა და პრეზიდენტის აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. კრიზისულ ვითარებებში პრეზიდენტს ენიჭება საგანგებო პოლიტიკური უფლებამოსილებები და გადაწყვეტილებების მიღების უფლებები. ეს უფლებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონსტიტუციის არსის (სულის) საწინააღმდეგოდ. პრეზიდენტი იწყებს მართვას ბრძანებულებების მეშვეობით. პრეზიდენტს ეძლევა შესაძლებლობა გვერდი აუაროს (ნაწილობრივ მაინც) ხელისუფლების კონკურენტულ და მაკონტროლებელ შტოებს სწორედ ამ ბრძანებულებების (დეკრეტების) მეშვეობით. ამ ვითარებაში აღმასრულებელი ხელისუფლება თავისკენ გადაქაჩავს მნიშვნელოვან საკანონმდებლო უფლებამოსილებებს. გადაწყვეტილებათა მიღების პოლიტიკური პროცესი ხდება არაგამჭვირვალე და გადადის (გადაეცემა) ფორმალური ინსტიტუტებიდან არაფორმალურ ჯგუფებში.

სხვა პოლიტიკურ აქტორთა გამორიცხვა და სახელისუფლებო უფლებამოსილებათა მთელი (სრული) მოცულობის გამოყენება წარმოშობს “ზეპოლიტიკურ” და “ზეპარტიულ” მმართველობის სტილს, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღება და (რეფორმები) ხორციელდება არა პარლამენტთან და პარტიიებთან ერთად, არამედ მათ საწინააღმდეგოდ (ხშირად). იქმნება არაკონსტიტუციური “კაბინეტები” და “ოჯახები”. (მაგ.; ელაინის რუსეთი, ან მენემის არგენტინა და სხვ.) ამას ხშირად მივყავართ ძალაუფლების “ბოროტად” გამოყენებასთან და განხორცილებული პოლიტიკური “რეფორმები” რეალურად მიმართულია არა პოლიტიკური სისტემის გაუმჯობესებისკენ, არამედ ძალაუფლების განმტკიცებისკენ, აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებისკენ და სხვა პოლიტიკური აქტორებისა და ინსტიტუტების (მათ შორის პარლამენტის) მიზანმიმართული ნეიტრალიზაციისკენ. ამგვარი ნესით მიღებული გადაწყვეტილებები არ რეალიზდება (ან მხოლოდ მცირე ნაწილში რეალიზდება), რამდენადაც ხვდება წინააღმდეგობას სახელმწიფო (და ეკონომიკური) ბიუროკრატიის მხრიდან ან/და არ მიღება (არ აღიარდება) საზოგადოებისა და ეკონომიკის მიერ. ამდენად უაღრესად იზრდება არაფორმალური ინსტიტუტების (წესრიგის) როლი.

[ცხადია, არაფორმალური წესრიგის დამკვიდრება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი შესაძლებელია საპარლამენტო სისტემებშიც. ამავე დროს, ისიც წათელია, რომ არაფორმალური ინსტიტუტების და არალიბერალური წესრიგის წარმოშობისა და დამკვიდრების შანსი საპრეზიდენტო სისტემებში, მნიშვნელოვნად დამკიდებულია ვითარებაზე პოლიტიკური სისტემის სხვა ნაწილებში.]

სხვა (მეორე) გზა არაფორმალურ ინსტიტუტთა დამკვიდრებისა და დომინირებისა არის ელიტური ჯგუფების კლიენტელისტული სტრუქტურების “ჩართვა” (“ჩაწერა”, “ჩაშენება”...) მთავრობის, სასამართლოსა და პარლამენტის ფორმალურ ინსტიტუტებში. ამის შედეგად, კონსტიტუციურად ლეგიტიმირებული ინსტიტუტები ან იზღუდებიან (“იქცევიან”, “ხდებიან”) ინდივიდთა ან ელიტურ ჯგუფთა (კარტელთა) სარგებლის მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული სტრატეგიით, ან სრულად (თითქმის სრულად) კარგავენ ძალას. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური ლიდერები თავისუფლდებიან (თავს აღწევენ) დემოკრატიული და კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონტროლისაგან.

თუმცა, არაფორმალური პრაქტიკების შეღწევამ ფორმალურ სამართლებრივ ინსტიტუტებში შესაძლოა მიანიჭოს პოლიტიკურ სისტემას ფარდობითი სტაბილურობა, მაგრამ მისი განმტკიცება (ძლიერად კონსოლიდირება) პრობლემატურია. სტაბილურობა დამკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, აქტორთა და მათ სტრატეგიათა სპეციფიურ კონფიგურაციაზე, ხოლო აღნერილ ვითარებაში ეს კონფიგურაცია ექვემდებარება ხშირ ცვლილებებს, რამდენადაც არ არის ჩამოყალიბებული (დადგენილი) ფორმალური ინსტიტუტების სახით (გრძელვადიანი ტრადიციითურთ). შუა და გრძელვადიან პერსპექტივაში არაფორმალური ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება ნეგატიურად მოქმედებს სისტემის კონსოლიდაციაზე და მის რეფორმატულ უნარზე. რასაკვირველია, ამ ვითარებაში, ლიბერალურ კონსტიტუციურ-სამართლებრივი და

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცედურების მიმართულებით განვითარების პერსპექტივას უჩნდება სხვა, ბევრად უფრო ძლიერი (მოსალოდნელი) ალტერნატივები.

მაგალითი ილუსტრაციისათვის: ძალაუფლების შეცვლა საქართველოში: ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტებისა და მექანიზმების სიმბიოზი.

1990 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოში ძალაუფლება შეიცვალა სამჯერ: 1990 წლის ოქტომბერში ზვიად გამსახურდიამ (და მისმა ბლოკმა) შეცვალა კომუნისტური პარტია, შემდეგ თავად ზვიად გამსახურდიას ცვლის ედუარდ შევარდნაძე და ბოლოს, 2003 წელს ხელისულებაში მოდის მიხეილ სააკაშვილი და “ნაციონალური მოძრაობა”.

ფორმალური ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, არსებობს ხელისუფლების ცვლილებების მხოლოდ ერთი გზა — საყოველთაო არჩევნები.

მაგრამ, რეალურად, სინამდვილეში ხელისუფლება იცვლებოდა არაფორმალური წესების (ინსტიტუტების) — მაგ, რევოლუცია, აჯანყება, შეთქმულება (ძალის, რაც არაფორმალურია და არა არჩევნების, რაც ფორმალურია) — მეშვეობით, და მხოლოდ მათი შემადგენელი ერთი (არაგანმსაზღვრელი) ნაწილი იყო ფორმალური (არჩევნები, როგორც გაფორმება, არჩევნების “გაყალბების ჩვენება”, როგორც ფორმალური მიზეზი...).

## ნარმომადგენლობა

პოსტკომუნისტური ტრანზიტის განვლილი პერიოდი სერიოზული ანალიზისა და კრიტიკის საგანი გახდა დღევანდელ როგორც აკადემიურ ლიტერატურაში, ასევე საზოგადოებრივ აზრში (opinion).

მაგრამ, მიუხედავად ძალიან მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა (რომელთაგან დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს: O'Donnell, Linz-Stepan, Капустин, Offe, Carothers...), სპეციალური ანალიზის საგანი არ გამხდარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა წარმომადგენლობითობის საკითხი, და შესაბამისად პოლიტიკური სისტემა, რომელმაც, წესით, უნდა უზრუნველყოს წარმომადგენლობითობა.

ჩვენ შევეცდებით ამ თვალსაზრისით ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი მთავარი პრობლემა, პოსტკომუნისტური საქართველოს ვითარების ანალიზის მაგალითზე.

როგორ უზრუნველყოფს საქართველოს პოლიტიკური სისტემა წარმომადგენლობითობას?

საკითხის განხილვისათვის მცირე თეორიული ექსკურსი უნდა განვახორციელოთ საზოგადოების თვითორეფლექსიის შესახებ.

პოლიტიკური პლურალიზმი დღეს სხვანაირია, ვიდრე ადრე. შეხედულებების პლურალიზმი შეცვლილია ძალაუფლებისათვის მებრძოლი ჯგუფების (პარტიების) პლურალიზმით — სახეზე Politics without Policy.

რატომ ჩამოყალიბდა პოლიტიკური სისტემა, რომელშიც მთავარი პოლიტიკური ინსტიტუტის როლს ასრულებენ პარტიები? ან სხვანაირად რა არის ამ სისტემის ლეგიტიმაციის საფუძველი?

შინაგანი (იმანენტური) ლეგიტიმაცია (სოციალური საფუძველი) ამ სისტემას არ გააჩნია. მისი ლეგიტიმაციის მთავარი საფუძველია ე.წ. “დასავლური დემოკრატიის” მოდელის აღიარება ერთადერთ მისაღებ (ლეგიტიმურ) მოდელად (სისტემად).

მაგრამ, აღიარებას საფუძვლად ედო არ თავისთავად სისტემის (ან მოდელის) რაციონალური განსჯის შედეგად მიღება-მოწოდება, არამედ რწმენა მისი ეფექტურობისა, რწმენა იმისა, რომ ამგვარად მოწყობილი პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფდა იმ პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მიზნების მიღწევას, რომლისკენაც მიისწოდებული კომუნისტური ქვეყნების მოქალაქენი. როგორც ვამინგტონის კონსენსუსზე დაფუძნებულ ნეოლიტერალურ ეკონომიკას უნდა უზრუნველყო მატერიალური სიუხვე, ასევე მის თანმდევ პოლიტიკურ “დემოკრატიულ პროექტს” უნდა აეშენებინა სამოქალაქო საზოგადოება, სამართლებრივი სახელმწიფო და დაემკვიდრებინა პოლიტიკური პლურალიზმი.

პოლიტიკური სისტემის არაეფექტურობა, რაც დღეს სრულიად უეჭველია გვიპიძებს იმისკენ, რომ ვეძებოთ გზები დღევანდელი (არსებული) რეალობის შესატყვისი, ადეკვატური პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა. ამავე დროს, ეს ინსტიტუტები ქმედითი და ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ მათი ლეგიტიმაცია მყარ საფუძველს დაეყრდნობა.

პოსტკომინისტური საქართველოს საზოგადოება ბევრი იმ ნიშნით ხასიათდება,

რომელიც დამახასიათებელია პოსტმოდერნული საზოგადოებისათვის.

რა მიმართებაშია საზოგადოება და პოლიტიკა საქართველოში, ანუ რამდენად უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების წარმართვა ხალხის (ქვეყნის) ნების, სურვილის, ინტერესების შესაბამისად.

გამოყოფილი რამდენიმე საკითხი:

1. მონაწილეობს თუ არა საზოგადოება საზოგადოებრივი (საზოგადოებრივ-პოლიტიკური) საკითხების განხილვაში — ან სხვანაირად დაესვათ საკითხი: მიმდინარეობს თუ არა საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრება — ანუ მიაჩნიათ თუ არა მოქალაქეებს საერთო (საზოგადო) მნიშვნელობის საკითხები თავისი კომპეტენციის (განხილვის) საგნად, ან კიდევ უფრო პირდაპირ: ფიქრობს (მსჯელობს) თუ არა საზოგადოება (მოქალაქეები) იმაზე, თუ როგორ (სწორად, სამართლიანად, კარგად) მიმდინარეობს მისი (საზოგადოების) ცხოვრება?

ასეთი ფიქრი და მსჯელობა შეიძლება დასრულდეს ორგვარად:

1. მხოლოდ ვითარების შეფასებით: პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური, ნიჰილისტური. 2. შეფასებითა და მოქმედებით, რომელიც ორიენტირებული იქნება ვითარების გაუმჯობესებაზე (ცვლილებებზე).

1. საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მსჯელობა შეიძლება მიმდინარეობდეს საზოგადოებრივი ქსელის ინსტიტუტებში (საზოგადოებრივი სფერო ფუნქციონირებს შესაბამისი ქსელის მეშვეობით), როგორიცაა ასოციაცია-გაერთიანებები, პროფესიული კანონები, საგანმანათლებლო ქსელი (დაწესებულებები), რელიგიური თემები, ზოგადად ადგილები, სადაც ინტერესები და ღირებულებრივი ორიენტირები ხდება განხილვის საგანი.

ასეთი ადგილები (ინსტიტუტები) საქართველოში არ არსებობს (მაგ. პროფესიული რეალური ბიზნეს ან პროფესიული ასოციაციები,...), ან რომლებიც არსებობს (მაგ. საგანმანათლებლო დაწესებულებები) დაწერილი და დაუწერელი კანონების საფუძველზე გამოთიშულია ამ საქმიანობიდან — იგულისხმება ე.წ. დეპოლიტიზაციის მოთხოვნა, რომელმაც სინამდვილეში შეუძლებელი (ან თითქმის) გახადა საზოგადოებრივი სფეროს ფუნქციონირების ამ ერთ-ერთი უმთავრესი ინსტიტუტის (ადგილის) შესაბამისი მიზნით ამოქმედება, ხოლო ის ამოცანა კი, რომელსაც იგი უნდა მომსახურებოდა — დეპარტიზაცია, საზოგადოებაში ურთიერთდაპირისპირების (განსაკუთრებით მწვავე ფორმებით) გაქრობა (ან შესუსტება) — ვერ შესარულა.

2. დავუშვათ, რომ საზოგადოება ახდენს რეფლექსიას — ანუ დაიწყო ასეთი რეფლექსია (ანუ გახადა თავისი მსჯელობის საგნად საზოგადოებრივი ცხოვრება — ან დაიწყო ამოქმედება საზოგადოებრივმა სფერომ!).

ამ მსჯელობამ ტრანსმისია უნდა განიცადოს, ანუ გახდეს პოლიტიკური ქმედების საგანი, უნდა მოხდეს ნაფიქრისა და ნამსჯელის რეალიზება ცხოვრებაში. რასაკვირველია ეს პერმანენტული პროცესია და არ სრულდება — ფიქრი, მსჯელობა და დისკუსია გრძელდება არა სხვა სფეროში (პოლიტიკურ სფეროში), არამედ ხდება ამ (პოლიტიკური) სფეროს ჩათრევაც, ჩართვა დისკუსიაში, მსჯელობაში. იქნება ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკურსი.

ასეთი ერთიანი დისკურსის შექმნის გარეშე საზოგადოებრივი სფერო ვერ ფუნქციონირებს — კვდება მოტივაცია.

ასეთი გადატანის (ტრანსმისიის) არხებად ჩვეულებრივ წარმოიდგინება პოლიტიკური პარტიები — პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია საზოგადოებასთან (იმპულსებს ილებს, ასახავს საზოგადოებრივ ინტერესებს, ასახავს საზოგადოებრივ დაყოფას და ა.შ.), ხოლო მეორე, მხრივ ადმინისტრაციასთან (ქმნის ადმინისტრაციას და ახორციელებს საზოგადოებრიც-პოლიტიკური დისკურსის შესაბამის ქმედებას ადმინისტრაციული ბერკეტების მეშვეობით).

შეუძლია თუ არა ამ ინსტიტუტს (პოლიტიკურ პარტიას) დღეს, თანამედროვე ეპოქაში ამ თავისი უმთავრესი დანიშნულების შესრულება საქართველოში? (თუმცა ეს ეჭვი მხოლოდ საქართველოს არ ეხება).

არგუმენტაცია, რომ ტრანსმისია ამგვარად უნდა განხორციელდეს, უპირატესად ეყრდნობოდა იმ თეორიას (დემოკრატიის თეორიას), რომელიც ასახავს სრულიად გარკვეული დროისა და ადგილის საზოგადოების ფუნქციონირებების კანონზომიერებებს — ეს არის ძირითადად დასავლეთ ევროპა XIX ს-ის 70-იანი წლებიდან XX ს-ის 70-იან წლებამდე — ეს არის კლასობრივი საზოგადოებები, მასიური დემოკრატიები, სადაც პარტიები ახასავდნენ საზოგადოებრივ დაყოფას, მოქალაქეთა თვითიდენტურობა

(პროგრამულ-იდეოლოგიურ-პლატფორმულ თანხვედრასთან ერთად) განსაზღვრავდა პარტიის კავშირს საზოგადოებასთან, საზოგადოებრივი შეხედულებები ემთხვეოდა პარტიულ შეხედულებებს; პარლამენტი წარმოადგენდა ადგილს, სადაც სხვადასხვა შეხედულებებით (პარტიათა) შეჯახებებისა და შეთანხმებების (სულ ერთია მაურიტარული, თუ კონსენსუსური) შედეგად ყალიბდებოდა ქმედებების პროგრამა (გადაწყვეტილებები), რომელიც რეალიზდებოდა ადმინისტრაციების მიერ.

(ჩვენ სპეციალურად არ განვიხილავთ არასაპარლამენტო ვარიანტს — მაგალითად, ბოლშევიზმი, ფაშიზმი, სხვადასხვა ტიპის ავტორიტარიზმი, რამდენადაც ეს ვარიანტები თითქოს საბოლოოდ დაგმობილი და უარყოფილია).

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მახსიათებელი რომ განვიხილოთ, ვნახავთ, რომ ისინი არ შეესაბამებიან ჩვენი საზოგადოების რეალობებს (საზოგადოების დაყოფა არ არის კლასობრივი, ფრაგმენტულია, გრძელვადიანი იდენტურობების [იდეური, პლატფორმული...]) ნაცვლად — იდენტურობები საკითხების მიმართ, შედეგად არაპლატფორმული პარტიები, საზოგადოებრივი შეხედულებები არ შეესაბამება პარტიებისას [ან, შეიძლება ითქვას არ არსებობს], და სხვ.).

მაგრამ, ვიდრე ანალიზი გაღრმავდებოდეს, აუცილებელია ყურადღება შევაჩეროთ ორ ფენომენზე: წარმომადგენლობითობა და პასუხისმგებლობა.

თითქმის საყველთაოდ გავრცელებული მცდარი აზრის სანინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ წარმომადგენლობითობა არ არის იდენტური დემოკრატიისა (მით უმეტეს მასობრივი დემოკრატიისა), და მეტიც, XVIII და XIX ს-ის დასაწყისში მოაზროვნები (მათ შორის ამერიკის კონსტიტუციის შემოქმედნი) წარმომადგენლობითობას უპირისპირებდნენ დემოკრატიას. ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ მმართველები, რომლებიც არ იქნებიან ჩვენი წარმომადგენლები (ფუნქციურად, ფორმალურად, შინაარსობრივად).

იმ პერიოდში, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით (პირობითად ვუწოდოთ “პარტიული დემოკრატიები” — ბ.მანინის მიხედვით) ეს ტერმინები (წარმომადგენლობითობა და დემოკრატია = მასობრივი) ერთმანეთს დაუკავშირდა, რაც განპირობებული იყო, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი, ასევე სხვა არგუმენტებით. წარმომადგენლობა დაუკავშირდა იდენტურობასა და ინტერესების თანხვედრას და მათი გატარებისათვის ზრუნვას (მოქმედებას). მაგრამ თუ ეს საფუძვლები არ არსებობს (როგორც ჩვენ ვფიქრობთ), მაშინ რას ნიშნავს წარმომადგენლობითობა და როგორ უნდა იქნეს იგი უზრუნველყოფილი.

მასიურ დემოკრატიებამდე წარმომადგენლობითობა გულისხმობდა შემდეგს: მოქალაქენი (ბევრად უფრო ცოტანი, ვიდრე მასიური დემოკრატიებისას) არჩევის ან შერჩევის გზით გამოყოფდნენ წარმომადგენლებს (მმართველებს), რომელიც მოქმედებდნენ არა ამომრჩევლის (ან ჯგუფის) ინტერესების შესაბამისად (პარტიული დემოკრატიები — იდენტურობა, ინტერესები), არამედ საერთო საქმის თვალსაწიერიდან — ეს არის რესპუბლიკანიზმი და არა დემოკრატია.

ამ შემთხვევაში არჩევანს განაპირობებს ნდობა — არა დაფუძნებული იდენტურობასა და თანხვედრაზე, როგორც “პარტიული დემოკრატიებისას”, არამედ — ნდობა დაფუძნებული არჩეულის მორალურ ღირებულებაზე, კეთილშობილებაზე.

ჩვენს შემთხვევაში არსებობს პოლიტიკური სისტემა, რომელიც მიესადაგება იმ ტიპის წარმომადგენლობით დემოკრატიას, რომელსაც, ჩვენ ვუწოდებთ “პარტიულ დემოკრატიებს”. მხედველობაში გვაქვს საარჩევნო სისტემა — ამომრჩეველი ხმას აძლევს პარტიას — 150-დან 100 ადგილი, ანუ 2/3 პარლამენტისა ასე ივსება.

თუ დავეთანხმებით ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ის საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი სფეროს ფუნქციონირებას “პარტიული დემოკრატიის” პირობებში (იდენტურობა, საზოგადოების დაყოფა, საზ. შეხედულებისა და პარტ. შეხედულება-პლატფორმის თანხვედრა...) არ არსებობს ანუ სრულიად სხვაგვარია (არა-კლასობრივი, ფრაგმენტულ არაპლატფორმული...), უნდა ვალიაროთ, რომ პოლიტიკური სისტემა (პარტიები და საარჩევნო სისტემა) არ არის მოწოდებული (აბსოლუტურად უნარს მოკლებულია) უზრუნველყოს ტრანსმისიაც და წარმომადგენლობითობაც.

მეტიც, პარლამენტის წევრთა წარმომადგენლობითობა თითქმის სრულიად ისპობა საარჩევნო სისტემის ერთი თავისებურების გამო, რომელიც უნიკალურია მთელ დღევანდელ ევროპაში, რომელიც სამშობლოა ე.ნ. “პარტიული დემოკრატიებისა”. ეს არის ჩვენში დამკვიდრებული პროპორციული სისტემის ტიპი. საერთოდ პროპორციული სისტემა ადვილად დასახახია, რომ მიესადაგება “პარტიულ დემოკრატიას” და იგი უპირატესად სწორედ იმ ქვეყნებში დამკვიდრდა ისტორიულად, სადაც ძლიერები იყვნენ ე.ნ. მასიური პარტიები (უმეტესწილად მემარცხენე — სოციალ-დემოკრატიები).

მაგრამ არც ერთ ქვეყანაში ევროპაში დღეისათვის არ არის სისტემა, რომლის მიხედვითაც ამომრჩეველი “ბრძან”, მხოლოდ პარტიასთან ასოცირების გამო ირჩევს “წარმომადგენლებს”, რომელიც ქმნიან პარლამენტის 2/3-ს (ვერც ერთი ამომრჩეველი, რასაკვირველია, ნარმოდგენილ 100-კაციან სიებს ვერ აღიქვამს და მასში ნარმოდგენილ პიროვნებებს — ანუ თავის წარმომადგენლებს ირჩევს პრაქტიკულად “ბრძან”). ძირი-თადად, ყველგან, სხვაგან, სადაც პროპორციული არჩევნებია — არის მრავალმანდატიანი ოლქები — თითო ოლქში ჩვეულებრივ აირჩევა 5-დან 15-მდე დეპუტატი. გარდა ამისა, ხშირია პრეფერენცია. (რაც ნიშნავს იმას, რომ ამომრჩეველი თავის რიგითობას ანიჭებს ასარჩევ კანდიდატებს...).

აქედან ცხადია, რომ ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის დონე უაღ-რესად დაბალია.

ყოველივე ამის შედეგად, საზოგადოებრივი სფეროსა და პოლიტიკური სფეროს დის-კურსები აბსოლუტურად სხვადასხვაა, მთლიანად პარლამენტის წარმომადგენლობითობა და ანგარიშვალდებულება კი — უაღრესად დაბალი.

### **სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა:**

1. Bernard Manin, The Principles of Representative Government, Cambridge University Press, 1997, ch.6, pp.193-235.
2. Yoram Barzel, A Theory of the State, Economic Rights, Legal Rights, and the Scope of the State, Cambridge, 2002, pp.198-266.
3. Bringing the State Back in ., Ed. by Peter B. Evans, Dietrich Rueschemeyer, Theda Skocpol., Cambridge, 2002, pp.3-39, 169-191,
4. Kenneth A. Shepsle, Mark S. Bonchek; Analyzing Politics, Rationality, Behavior, and Institutions, New York, 1997, pp.166-194 (თავი: Voting Methods and Electoral Systems)
5. Sartori, Giovanni., Comparative Constitutional Engineering. An Inquiry into Structures, Incentives and Outcomes. London, Macmillan, 1994
6. Poggi, Gianfranco, The Development of the Modern State. A Sociological Introduction. Stnaford University Press, 1978, pp.117-152

### **დამატებითი საკითხავი ლიტერატურა:**

1. Kenneth A. Shepsle, Mark S. Bonchek, Analyzing Polities: Rationality, Behavior, and Institutions, New York, 1997, pp. 166-196.
2. Kenneth A. Shepsle, Mark S. Bonchek, Analyzing Polities: Rationality, Behavior, and Institutions, New York, 1997, pp. 299-312.
3. Donald L Horowitz, Constitutional Design: An Oxymoron? — “Designing Democratic Institutions”, Ed. by Ian Shapiro and Stephen Macedo, New York University Press, New York and London, 2000, pp. 253-284.
4. Philip Pettit, Democracy, Electoral and Contestatory, — “Designing Democratic Institutions”, Ed. by Ian Shapiro and Stephen Macedo, New York University Press, New York and London, 2000, pp.105-146.
5. Stephan Haggard and Mathew D. McCubbins, Introduction: Political Institutions and the Determinants of Public Policy, — “Presidents, Parliaments, and Policy”, Ed. by Stephan Haggard, Mathew McCubbins, University of Cambridge, 2001, pp. 1-20
6. Gallagher, Michael, Michael Laver, and Peter Mair, Representative Government in Modern Europe. 3<sup>rd</sup> ed., London, McGraw Hill.
7. Powell, G. Bingham, Jr. “Constitutional Design and Citizen Electoral Control,” Journal of Theoretical Politics, 1989, 1 (2), pp.107-130.
8. Ainsworth, S. Representation and Institutional Stability Journal of Theoretical Politics, 1997, 9(2), pp.147-165.
9. Holmes, Stephen, “Pre-commitment and the Paradox of Democracy”, in: Jon Elster and Ruth Slagstad, eds., Constitutionalism and Democracy, New York, Cambridge University Press, 1988.
10. Jon Elster, Ways of constitution-making, in: Democracy’s Victory and Crisis, ed. by Axel Hadenius, Cambridge University Press, 1997

# IV კვირა

## პოლიტიკური ინსტიტუტები გარდამავალ საზოგადოებებში: ინსტიტუტთა ცვლილებები

### შესავალი

საზოგადოების განვითარებისა (და ტრანსფორმაციის) სტრატეგიებში შეიძლება გამოიყოს მიმართულებები, რომლებიც ერთმანეთთან კონფლიქტურ დამოკიდებულებაში არიან. ერთი ასეთი კონფლიქტი გამოვლინდება შეჯახებაში, ერთი მხრივ, კონსტრუქტივისტული მიმართულებისა (მიდგომისა), რომელიც იგებს (ხსნის, აღიქვამს) პოლიტიკას, განსაკუთრებით დემოკრატიულს, როგორც პროცესს საზოგადოების გარდაქმნისა (გადაწყობისა, რეკონსტრუირებისა), ხოლო, მეორე მხრივ, “ღრმად კონსერვატული” (პირობითად) მიდგომისა, რომელიც იღებს საზოგადოებას ისეთს, როგორიც ის არის, მის რეალურად არსებულ ფორმებში.

მეორე კონფლიქტად შეიძლება წარმოვიდგინოთ კონფლიქტი ზღვრულად განზოგადებული, შემაჯამებელი ნიმუშისადმი (მოდელისადმი) — ხშირად უტოპიურის ან მითურის (თემურის) — მისწრაფებასა, რაც წარმოვიდგენს (იგებს) პოლიტიკას ხისტად (უაღრესად მკაცრად) კონსტრუქტივისტულად, და პლურალისტურ პოზიციას შორის. პლურალიზმი (ან პლურალისტული მიდგომა) არ უარყოფს აუცილებლობით კონსტრუქტივისტულ მიდგომას პოლიტიკისადმი, მაგრამ ის მოითხოვს (ან: ინვევს შედეგად) ცხოვრების ორგანიზების მოდელების მრავალგვარობის აღიარებას, რაც უზრუნველყოფს შესაბამისად ამ მოდელების ჩარჩოებშივე არსებული და განვითარებადი ტრადიციებისა და საზოგადოებრივი ინტერესების გაგებისა და ინტერპრეტაციის მრავალგვარობის აღიარებასაც.

ეს კონფლიქტი არსებითი აღმოჩნდა პოსტკომინისტური ტრანსფორმაციისთვისაც.

### როგორ იცვლებიან ინსტიტუტები

ჩვენს გარშემო მუდმივად ხდება ცვლილებები, რომლებიც ჩვენზე (ჩვენს ცხოვრებაზე) ზემოქმედებს — იცვლება ჩვენი გარემომცველი რეალობა. ეს ცვლილებები ჩვენგან დამოუკიდებელია, არ არის ცალკეული ინდივიდის რაციონალური მიზან-მიმართული ქმედების და სურვილის შედეგი — იგი უამრავი, როგორც ერთი, ასევე სხვადასხვა ვექტორებით წარმართული ქმედებისა და სურვილის შედეგია: მიზნისა და შედეგის სრული შესაბამისობა პრაქტიკულად მიუღწეველია, თუ არ წარმოვიდგენთ აბსოლუტურად მონისტურ, ტოტალიტარულ, გაქვავებულ და იზოლირებულ სამყაროს (არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ მის გარემომცველ ბუნებასაც), ან აბსოლუტის (ლმერთის) ქმედებას...

ეს ცვლილებები არ ინვევს მაშინვე და ავტომატურად შესაბამისად ცვლილებებს ჩვენს განწყობებში, მისწრაფებებში, მიზნებში, ნორმებში, ლირებულებებში.

მაგრამ ეს ცვლილებები აუცილებლად მოახდენს ზემოქმედებას ჩვენზე, ჩვენს ცხოვრებაზე და აუცილებლად გამოიწვევს მის (ცხოვრების) ცვლილებას შემდგომში.

თუ სოციალური წესრიგის ზემოთ მოტანილ სქემას მივუბრუნდებით, წარმოვიდგინოთ, როგორი იქნება გარე ცვლილებების მასზე ზეგავლენა.

ცვლილება თავისთავად აუცილებლად შეეხება არაფორმალურ ინსტიტუტებს, ნორმებს და ლირებულებებს. თავისთავად, ცვლილება აუცილებლობით არ შეეხება ფორმალურ ინსტიტუტებს — ანუ ისინი ფორმალურად არ შეიცვლებიან, მაგრამ ფუნქციონალურად განიცდიან ცვლილებას, როგორც შემადგენელი (ნაწილი) არაფორმალური ინსტიტუტებისა.

მაგრამ ისინი (ფორმალური ინსტიტუტები) ექვემდებარებიან რაციონალურ და გამიზნულ ცვლილებებს, მაშინ, როდესაც სხვა სამი შემადგენელი ჩვენი სოციალური წესრიგის სქემისა ამგვარ (პირდაპირ) ჩარევას არ ექვემდებარება. მაგრამ, ფორმალური ინსტიტუტების შეცვლის მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია შევიტანოთ მათშიც (არაფორმ. ინსტიტ., ნორმ. ლირებ.) ცვლილებები (იხ. ზემოთ); (ამავე დროს, რომ ეს სამი შემადგენელი მაინც განიცდის ცვლილებებს გარე ცვლილებების ზემოქმედების შედეგად).

წარმოვიდგინოთ, როგორ შეიძლება ეს განხორციელდეს:

## ვარიანტი I —

- ცალკეულ ინდივიდს ეცვლება ღირებულებები — თავისთავად (ან/გარე ცვლილებების შედეგად)

- ნორმების ცვლილება გამოიხატება იმით, რომ ისინი კარგავენ ძალას (აკლდებათ ძალა) — ვიდრე ახალი არაფორმალური ინსტიტუტები არ ფორმირდება. ნორმები ვერ იღებენ მეტ-ნაკლებად მკაფიო და სტაბილურ სახეს, რომლის გარეშეც მათი ფუნქციონირება იზღუდება. ნორმების ამგვარი ტიპი (არასტაბილური, არამკაფიო) ხელს უშლის ღირებულებების გამკაფიოებასა და გასტაბილურებას.

